ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 8-9 (29)
შაბათი, 12 იანვარი, 1991 წელი.
ფასი 15 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

„ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ნაწილობრივ შეიცვალოს „ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 12 დეკემბრის დადგენილების პირველი პუნქტი და საგანგებო წესების მოქმედების ვადა ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე გაგრძელდეს 1991 წლის 12 თებერვლამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 11 იანვარი.

შიდა ქართლი

მდგომარეობა ცხინვალში

10 იანვარს გადიოდა პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის 7 იანვრის ბრძანებულებით დაწესებული სამდღიანი ვადა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების გარდა ყველა შეიარაღებული ფორმირების საგანგებო წესების რეგიონიდან გამოყვანის თაობაზე.

ამის გამო 10 იანვარს ცხინვალსა და ჯავის რაიონში გარკვეული დაძაბულობა იგრძნობოდა; მაგრამ, საბედნიეროდ, მთელი დღე-ღამის განმავლობაში, აგრეთვე 11 იანვარს რაიმე სერიოზული ინციდენტი არ მომხდარა.

ცენტრალური ტელევიზიის ახალი ამბების სატელევიზიო სამსახურმა 10 იანვარს ღამით გადმოსცა ცნობა, თითქოს ცხინვალში აგებენ ბარიკადებს და ხდება ქართული მილიციის განიარაღება.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ; ეს არის ცენტრალური ტელევიზიის მორიგი პროვოკაციული მონაჭორი.

საქართველოს მილიცია კონტროლს უწევს ვითარებას, იარაღს ართმევს ექსტრემისტულ ჯგუფებს და ახორციელებს რეგიონის ქართველი და ოსი მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებებს.

იმასთან დაკავშირებით, რომ ცენტრალური ტელევიზია და გაზეთები სისტემატურად აქვეყნებენ დამახინჯებულ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ ინფორმაციას, რაც კიდევ უფრო ამწვავებს რეგიონში შექმნილ ვითარებას, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრმა ოფიციალურად მიმართა საკდესისა და ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა „ვრემიას" ხელმძღვანელობას, გამოიჩინონ მეტი სიფრთხილე და ობიექტური, გადამოწმებული ინფორმაცია მიიღონ ქ. ცხინვალის კომენდანტისაგან ან შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი, საქინფორმი.

ძვირფასო მკითხველო!

ამ ფოტოზე, თქვენ მშვენიერ ქართველ გოგო-ბიჭებს ხედავთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სურათს, ის ყველაზე მთავარი აკლია, რაც ბავშვობასთან უნდა იყოს დაკავშირებული — მხიარულება, სიცილი, ზეიმი..

„არცერთ გოჯ მიწას არ დავუთმობთ მტერს!", „ოსებო! რომ იცოდეთ სამშობლოს სიყვარული, აზრად არ მოგივიდოდათ ჩემი სამშობლოს წართმევა" — ამდაგვარია იმ პლაკატების შინაარსი ამ ერთ ციცქნა და მოღუშულ სახეებზეც რომ იკითხება.

ღმერთმა ხომ იცის, რომ ამ პატარა ქართველების დიდი ჯავრიც სასჯელი უნდა იყოს იმათთვის, ვინაც თავისი ქმედებით ადამიანისათვის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანისა და საყვარელის გათელვას აპირებს!

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ეს სუვერენიტეტის შელახვაა

პატივცემულო პრეზიდენტო!

რამდენიმე წელია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი თვალს ადევნებდა სამხრეთ ოსეთში შექმნილ ოპერატიულ ვითარებას და აფიქსირებდა ადგილობრივი არაფორმალური გაერთიანებების ლიდერთა და ავანტიურისტულად განწყობილ პირთა მხრივ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ოსურ მოსახლეობაში ნაციონალისტური, სეპარატისტული ტენდენციების ზრდის და ანტიქართული გამოვლინებების ინსპირაციის ფაქტებს.

აღნიშნული ძალები, ეროვნული ინტერესების დაცვისათვის ბრძოლის დროშით, ფაქტობრივად მიისწრაფოდნენ პირადი ანგარიშებისა და ამბიციური მიზნების მიღწევისაკენ, ოლქის მმართველობასა და სამეურნეო სტრუქტურებში წამყვანი პოსტების მოსაპოვებლად.

ასე ამგვარად, ეროვნული განსაკუთრებულობის პროპაგანდისა და ისტორიული სინამდვილის დამახინჯების ფონზე საზოგადოებრივ შეგნებაში ინერგებოდა ნაციონალისტური იდეები, რომლებსაც ფაქტობრივად განხეთქილება შეჰქონდა ქართველი და ოსი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობაში.

ოსი ეროვნების სეპარატისტულად განწყობილ პირთა შემდგომმა ნაბიჯებმა, მიმართულმა ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის შესაქმნელად, გამოიწვია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანის კანონიერი აღშფოთება, მათ შორის ოსური ეროვნების იმ ასი ათასი კაცისა, რომლებიც რესპუბლიკის სხვა რეგიონებში — ავტონომიური ოლქის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ.

გაკვირვებას იწვევს ცენტრის მდუმარება სეპარატისტთა მცდელობაზე ჩაეტარებინათ დეკლარირებული „რესპუბლიკის" უზენაესი საბჭოს არჩევნები.

ყოველივე ამან უაღრესად დაძაბა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება რესპუბლიკაში, რადგან მოსახლეობამ იგრძნო რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მოახლოებული საფრთხე.

შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, რესპუბლიკის დიდმა უმრავლესობამ მოიწონა.

იმ დროს, როცა რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს ღონისძიებებს რეგიონში მდგომარეობის სტაბილიზაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, სსრკ-ს პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება ოსი სეპარატისტების მიერ შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც მათი მოქმედების ჯეროვანი მხარდაჭერის აქტი და უბიძგოს ექსტრემისტულად განწყობილ ელემენტებს დაძაბულობის შემდგომი ესკალაციისაკენ, კონფრონტაციის გაძლიერებისაკენ, რაც უცილობლად მიგვიყვანს გამოუსწორებელ შედეგებამდე.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მრავალეროვანი კოლექტივი, როგორც ნაწილი ერთი მთლიანი საქართველოსი, მტკიცედ აცხადებს, რომ სავსებით უჭერს მხარს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ უზენაეს საბჭოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში. ჩვენ სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია 1922 წელს საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შექმნილი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება საქართველოს უზენაესი საბჭოსაგან. ასევე კანონზომიერად ვთვლით საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ აუცილებელ ზომებს, რომლებიც ალაგმავენ ჩვენს ტერიტორიაზე მოქმედ ყველა სეპარატისტულ ძალებს, რა ეროვნებისაც არ უნდა იყვნენ ისინი, ვინც ანარქიისა და ძმათამკვლელი ომისაკენ გვიბიძგებს. ამდენად ჩვენთვის სრულიად გაუგებარია საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ამა წლის 7 იანვრის ბრძანებულება, რომელიც უკრძალავს სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკას მიიღოს სამართალდამცავი ზომები თავისი ტერიტორიული მთლიანობისა და მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით.

აქედან გამომდინარე, ჩვენ მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ცენტრის ყოველი ქმედება, რომელიც მიმართულია საქართველოს უზენაესი საბჭოს უფლებების ხელყოფისაკენ, ჩვენს მიერ, ისევე, როგორც მთელი ქართველი ერის მიერ, აღქმული იქნება როგორც საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის შელახვა, ხოლო საკავშირო ნებისმიერი სამხედრო ფორმირებები, მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე მის მთავრობასთან შეთანხმების გარეშე შეფასებული იქნება როგორც შეიარაღებული აგრესია.

პატივცემულო პრეზიდენტო! იმედს გამოვთქვამთ, რომ გაიმარჯვებს საღი აზრი და კეთილი ნება.

მიმართვა მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიცერთა კრებაზე 1991 წლის 9 იანვარს.

მთავრობის მოამბე

„მოსავალი-91": დავაჩქაროთ სამუშაოთა ტემპი

პირველი რიგის პოლიტიკურ ამოცანათა გადაწყვეტამ ვერ ჩამოაშორა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ყურადღება საჭირბოროტო ეკონომიკურ პრობლემებს. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა რაიაღმასკომების და რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარეების, სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლების თათბირმა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში გაიმართა. იგი მიეძღვნა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობას, უახლოესი მომავლისათვის დარგის განვითარების პერსპექტივებს.

თათბირს უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა.

ინფორმაცია გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლუდვიგ ღურწკაიამ.

ამჟამად, საკმაოდ რთული მდგომარეობა შეიქმნა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში, აღინიშნა თათბირზე. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიწვია მთელ რიგ რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების ტემპის მკვეთრმა დაქვეითებამ. არადა, მათ ხარისხზე, აგროვადების კამპანიის დამთავრების, აგროვადების მკაცრ დაცვაზე, ხომ დამოკიდებულია მომავალი მოსავლის ბედი და, მაშასადამე, ჩვენი ბედიც. არც ერთი დღით არ უნდა შევაფერხოთ უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო ოპერაციები — ვენახებისა და ჩაის პლანტაციების დამუშავება, სასუქების შეტანა, ჩითილების მომზადება.

საიდუმლო არ არის, რომ ჩვენთან დღემდე ჯერ კიდევ მცირეა მარცვლეულის, ყურძნის, კარტოფილის მოსავლიანობა. არადა, ხომ არის მეურნეობები, სადაც იწევენ ჰექტარზე 130-150 ცენტნერ ხილს. ზოგან დიდია იმავე კარტოფილის, მარცვლეულის, ბოსტნეულის მთლიანი მოსავალიც. თუმცა, ეს ყოველთვის როდია დამოკიდებული ამა თუ იმ ხელმძღვანელის პიროვნებაზე, ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ მელიორაციას, ჩვენი აგროსამრეწველო კომპლექსის ამ უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის დაფინანსებას. ეს არის წარუმატებლობის მიზეზი საკვებწარმოებაშიც და, მაშასადამე, მეცხოველეობაშიც. დღეისათვის საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის სულადობა შემცირდა 25 ათასამდე. მცირეა წველადობა, პირუტყვის სადღეღამისო წონამატება. უნარიან მეურნეს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალის კარნახი არ სჭირდება. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ყველგან გავზარდოთ ძროხისა და ღორის სადგამი სულადობა, მაქსიმალურად შევინარჩუნოთ ნამატი, დავუბრუნდეთ პრაქტიკაში ჯოგის მომრავლებისათვის საკმარისი რაოდენობის პირუტყვის სულადობის რესპუბლიკაში ყოველწლიური შემოყვანის პრაქტიკას. ამავე დროს, უნდა მივაღწიოთ რესპუბლიკის სპეციალიზებულ მეურნეობებში სანაშენე ხბორების სულადობის ზრდას. არის აგრეთვე სპეციალიზებული სასუქებელი კომპლექსები, სადაც მეურნეობები შეძლებენ ჩააბარონ ნამატის ნაწილი.

საიჯარო ურთიერთობის დანერგვას, ამბობდნენ თათბირის მონაწილენი, თავისი შედეგები მოჰყვა — განმტკიცდა მეურნეობანი, გაიზარდა გლეხთა პირადი ბიუჯეტიც. რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონში გადაწყვეტილი იყო, საზოგადოებრივის ბაზაზე შექმნათ გლეხთა პირადი მეურნეობანი.

მაგალითად, ლენტეხის რაიონში, ზოგმა ვითომცდა მემკვიდრეობით კუთვნილი მიწის ნაკვეთების მიღება მოინდომა რამდენიმემ სხვანაირად, თუმცა, უკვე სხვა მიზეზით შეაჩერეს ზესტაფონის რაიონში საზოგადოებრივ მეურნეობათა ლიკვიდაციის პროცესი. აქ თვითონებ აზა იქამდე მივიდა, რომ პირდაპირ ფერმებიდან დაიწყეს პირადი საკუთრებასათვის პირუტყვის ყიდვა-გაყიდვა.

დემოკრატიული თავისუფლებანი შეუთავსებელია ანარქიასთან, ძარცვასთან — ასეთი იყო თათბირზე გამოსულთა აზრი. მიწის საკუთრების, სხვადასხვა ფორმას ნათელი უნდა მოჰფინოს შესაბამისმა კანონმა, რომელსაც მოუთმენლად ელიან რესპუბლიკის სოფლის მშრომელები. მაგრამ ცხადია, რომ სახელმწიფო და კერძო ფორმა ერთმანეთის გვერდით იმეზობლებს.

თათბირზე სიტყვა ჩამოვარდა საკმაოდ სიმპტომურ მოვლენაზე, როგორიც არის სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, მიგრაცია. ამიტომაც, დაისახა სტრატეგიული ამოცანა, რომ დააბრუნონ იგი მშობლიურ ადგილებში.

ახლა, არჩევნების წინ, როცა რესპუბლიკა აპირებს გადავიდეს მმართველობის ახალ ფორმაზე— პრეფექტურებზე, სწორედ აღმასკომების თავმჯდომარეებზე, ვითარების ფლობის, დისციპლინის მკაცრი დაცვის, ადამიანთა საჭიროებების არსში წვდომის, საწარმოო ამოცანათა შესრულებისათვის მათი დარაზმვის უნარზეა დამოკიდებული ამომრჩეველთა მომავალი არჩევანი.

საიდუმლო არ არის, ჩვენს რესპუბლიკას, შედარებით მოკრძალებული ეკონომიკური შესაძლებლობანი აქვს. მაგრამ ისიც, რაც გვაქვს, შეიძლება უყოყმანოდ შევთავაზოთ პარტნიორებს სრულფასოვანი სავაჭრო გარიგებათა ნაცვალგების იმედით.

საქართველოს სახაგრომრეწვმა ამ წლისათვის დადო ხელშეკრულება რესპუბლიკაში ნაწილობრივ რესპუბლიკათაშორისი არჩევით. აგრეთვე, იმპორტით 1.730.000 ტონა მარცვლეულის, რძეზე გადაანგარიშებით 1.040.000 ტონა რძის პროდუქტების, 72 ათასი ტონა (ნაკლავი წონა) ხორცის, 255 ათასი ტონა შაქრის, 83 ათასი ტონა მცენარეული ზეთის მოწოდების შესახებ.

ყოველივე ამის გარდა, მივიღებთ სათბობს, საწვავ-საპოხ და სამშენ მასალებს, ტექნიკას.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ 1981 წლის 25 ნოემბრის კანონი „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ" (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 13, მუხ. 292);

საქართველოს სსრ 1981 წლის 25 ნოემბრის კანონი „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ" (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 13, მუხ. 293);

საქართველოს სსრ 1981 წლის 25 ნოემბრის კანონი „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ" (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 13, მუხ. 294);

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1981 წლის 25 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის, „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონისა და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე" (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 13, მუხ. 295).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ

კარი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკაში მართლმსაჯულებას ახორციელებს მხოლოდ სასამართლო.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა სასამართლო წყობილების შესახებ

სასამართლო წყობილებას საქართველოს რესპუბლიკაში განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, შესაბამისად — აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კონსტიტუცია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 3. სასამართლოს ამოცანები

მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლო იცავს მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და პირად უფლებებსა და თავისუფლებებს, მოქალაქეთა კანონით დაცულ ინტერესებს, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოოპერატივების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 4. მართლმსაჯულების განხორციელება

მართლმსაჯულება საქართველოს რესპუბლიკაში ხორციელდება:

სასამართლო სხდომებზე იმ სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის გზით, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეთა, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კოოპერატივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასთან;

სასამართლო სხდომებზე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის, განსასჯელთა ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტის, დანაშაულის ჩადენაში ბრალეული პირების მიმართ კანონით დადგენილი სასჯელის ზომის გამოყენების ან უდანაშაულოთა გამართლების გზით.

მუხლი 5. სასამართლოებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა განხილვა

რაიონის (ქალაქის) სასამართლოებში ადმინისტრაციული მოსამართლეები განიხილავენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით მათ გამგებლობას განეკუთვნება.

მუხლი 6. მოქალაქეთა თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე

საქართველოს რესპუბლიკაში მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე წარმოშობის, სოციალური, თანამდებობრივი და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი, ეროვნული და პარტიული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიუხედავად.

მუხლი 7. მოქალაქეთა სასამართლო დაცვის უფლება

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების არამართლზომიერი მოქმედებისაგან, აგრეთვე პატივისა და ღირსების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლებისა და ქონების, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კონსტიტუციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებისა და თავისუფლებების ყოველი ხელყოფისაგან სასამართლო დაცვის უფლება. მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სხვაგვარ წესს ადგენს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კანონები.

სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარგებლობენ სასამართლო დაცვის უფლებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების თანაბრად, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 8. მართლმსაჯულების განხორციელება კანონის ზუსტი შესაბამისობით

საქართველოს რესპუბლიკაში მართლმსაჯულება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით. საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოებს კანონით დადგენილ შემთხვევებში შეუძლიათ გამოიყენონ სხვა რესპუბლიკების კანონმდებლობაც.

მუხლი 9. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება

მოსამართლეები და მსაჯულები დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მუხლი 10. სასამართლოს შექმნა

რაიონის (ქალაქის), თბილისის საქალაქო სასამართლოები იქმნება მოსამართლეთა დანიშვნისა და მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები იქმნება მოსამართლეთა და მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე.

მუხლი 11. მსაჯულთა და მოსამართლეთა თანასწორი უფლებები მართლმსაჯულების განხორციელებისას

მსაჯულები მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლის თანასწორი უფლებით სარგებლობენ.

მუხლი 12. კოლეგიურობა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს

პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები განიხილება კოლეგიურად მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად საქმეები იმ დანაშაულობათა გამო, რომელთა ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა, განიხილება მოსამართლისა და ექვსამდე მსაჯულის შემადგენლობით.

დანაშაულობათა საქმეების განხილვისას, რომელთა ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, მსაჯულთა რაოდენობის საკითხს გადაწყვეტს სასამართლო სამართალში მიცემის სტადიაში.

შესაბამისი სასამართლოების სასამართლო კოლეგიებში საკასაციო და საზედამხედველო წესით საქმეთა განხილვა ხორციელდება სამი მოსამართლის შემადგენლობით.

სასამართლოს პრეზიდიუმი იხილავს საქმეებს, თუ არის პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა.

სასამართლოს პლენუმი საქმეებს იხილავს, თუ არის მისი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

მუხლი 13. ენა, რომელზეც სამართალწარმოება ხორციელდება

საქართველოს რესპუბლიკაში სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე. საქმის მონაწილე პირებისათვის, რომლებმაც არ იციან სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია თარჯიმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობისა და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის, სასამართლოში მშობლიურ ენაზე გამოსვლის უფლება.

მუხლი 14. საქმეთა ღია გარჩევა ყველა სასამართლოში

ყველა სასამართლოში საქმეთა გარჩევა ღიაა.

საქმის მოსმენა დახურულ სასამართლო სხდომაზე შეიძლება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

სასამართლოების გადაწყვეტილებები და განაჩენები ყველა შემთხვევაში ცხადდება საჯაროდ.

მუხლი 15. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დაცვის უფლებების უზრუნველყოფა. უდანაშაულობის პრეზუმფცია

ეჭვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს აქვთ დაცვის უფლება. ეს უფლება მათთვის უზრუნველყოფილია დამცველის მონაწილეობით დაკავების, დაპატიმრების ან ბრალდების წაყენების მომენტიდან.

ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით.

მუხლი 16. ადვოკატების მიერ მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გაწევა

სამოქალაქო სამართლის საქმეთა, სისხლის სამართლის საქმეთა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სამართალწარმოებაში მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს იურიდიულ დახმარებას უწევენ ადვოკატები.

ადვოკატების მიერ იურიდიული დახმარების გაწევის წესს, აგრეთვე სამოქალაქო, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სამართალწარმოებაში მონაწილე ადვოკატთა უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

მუხლი 17. პროკურორის მონაწილეობა სასამართლოებში საქმეთა განხილვის დროს

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები სასამართლოებში საქმეთა განხილვაში მონაწილეობენ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით.

მუხლი 18. სასამართლოში საქმეთა განხილვისას საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში სამოქალაქო სამართლის საქმეთა, სისხლის სამართლის საქმეთა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის დროს დაიშვება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა.

მუხლი 19. სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროების მიერ მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისადმი დაქვემდებარების პრინციპის დაცვით.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოებისადმი, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისადმი.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროები ახორციელებენ ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისადმი.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროები შეიმუშავებენ და შეიტანენ ხელისუფლების შესაბამის ადგილობრივ ორგანოებში წინადადებებს სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების მოწყობის საკითხებზე; ახორციელებენ მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევას, მომზადებას და წარდგენას, სასამართლო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, ამოწმებენ სასამართლოების მუშაობის ორგანიზაციას; შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, ორგანიზაციას უწევენ მუშაობას სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და მათთვის საქმიანობის სათანადო პირობების შექმნისათვის; სასამართლო სტატისტიკის წარმოების, სასამართლო გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის; შეიმუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმზე შეაქვს წინადადებანი კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო განმარტებათა მიცემის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში.

კარი II

სასამართლო სისტემა

თავი I

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოები

მუხლი 20. საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოები

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოებია: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო და რაიონის (ქალაქის) სასამართლოები.

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოებში შეიძლება შეიქმნას ცალკეულ კატეგორიათა საქმეების განხილვაზე დასპეციალებული სასამართლო შემადგენლობა.

თავი II

რაიონის (ქალაქის) სასამართლოები

მუხლი 21. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შექმნა

რაიონის (ქალაქის) სასამართლო შეიქმნება რაიონში, ქალაქში (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა), ქალაქის რაიონში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის წარდგენით შეუძლია შექმნას ერთი რაიონის (ქალაქის) სასამართლო რაიონისა და ქალაქისათვის.

მუხლი 22. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შემადგენლობა

რაიონის (ქალაქის) სასამართლო შედგება სასამართლოს თავმჯდომარის, მოსამართლეების, ადმინისტრაციული მოსამართლისა და მსაჯულებისაგან.

თუ რაიონის (ქალაქის) სასამართლოში დანიშნულია ერთი მოსამართლე, იგი ახორციელებს რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შემადგენლობაში ორი ან მეტი მოსამართლის დანიშვნის შემთხვევაში, მათი რიცხვიდან ინიშნება სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო ოთხზე მეტი მოსამართლის დანიშვნისას — შეიძლება დაინიშნოს აგრეთვე თავმჯდომარის მოადგილეც.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარეებს და მოადგილეებს ნიშნავენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრები.

მუხლი 23. მოსამართლეთა რაოდენობა

(გაგრძელება მე-3 გვ.)

შიდა ქართლი

ღია წერილი სსრ კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს!

„სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ". საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 9 იანვრის დადგენილებაში დამაჯერებლადაა ნაჩვენები როგორც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებისა და ყოფილი ოლქის ზოგიერთ რაიონში საგანგებო წესების შემოღების აუცილებლობა და კანონიერება, ისე ხსენებული ბრძანებულების უსაფუძვლობა.

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი მთლიანად იწონებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აღნიშნულ დადგენილებას, მასში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და არგუმენტებს.

ამასთან ერთად, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სხვა და სხვა იურიდიულ შეუსაბამობას და უზუსტობას, რომელსაც შეიცავს სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება.

1. პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 11 დეკემბერს მიღებული კანონი ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციასა და კანონებს, ავტონომიური წარმონაქმნების სტატუსის შეცვლის დადგენილ წესს. ამის დასადასტურებლად ბრძანებულებაში მითითებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 87-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც საქართველოს სსრ შემადგენლობაში არის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. საკავშირო კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი ემყარება და ასახავს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც განმტკიცებულია თვით საქართველოს კონსტიტუციით. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ საკავშირო კონსტიტუციის ზემოაღნიშნული მუხლის ნორმის არსებობას მთლიანად განაპირობებს — საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების ფაქტობრივი მდგომარეობა და მისი ასახვა რესპუბლიკის კონსტიტუციაში. ბუნებრივია, რომ რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების ცვლილებამ თავისთავად უნდა გამოიწვიოს შესაბამისი ცვლილებების შეტანა სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

ამრიგად, ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ არა წინააღმდეგობაზე, არამედ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების ფაქტობრივი მდგომარეობის შეცვლაზე და ამ ცვლილების საკავშირო კონსტიტუციაში ასახვაზე.

2. საკავშირო და რესპუბლიკური კონსტიტუციით საქართველოს აქვს უფლება შექმნას ან გააუქმოს ავტონომიური ოლქი. აქედან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ სავსებით შეესაბამება როგორც სსრ კავშირის კონსტიტუციას, ისე რესპუბლიკის კონსტიტუციას.

მცდარია სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების დებულება, რომ საქართველოს უზენაესმა საბჭომ არ დაიცვა ავტონომიური ოლქის სტატუსის შეცვლის წესი, რადგან არც სსრ კავშირის კონსტიტუცია და არც სხვა საკანონმდებლო აქტი ასეთ წესს არ შეიცავს.

3. პრეზიდენტის ბრძანებულებაში არაა ნათქვამი, თუ რომელ კონკრეტულ საკანონმდებლო აქტს ეწინააღმდეგება საგანგებო წესების შემოღება ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონში, ამიტომ გაუგებარია, რატომ უნდა ჩაითვალოს იურიდიული ძალის არმქონედ და არ უნდა შესრულდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისი გადაწყვეტილება.

4. სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება წინააღმდეგობრივია. კერძოდ, პრეზიდენტი, ერთი მხრივ, ავალებს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებასა და სამართალდამცავ ორგანოებს უზრუნველყონ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, მეორე მხრივ კი მოითხოვს აღნიშნული ტერიტორიიდან იმ ძალების გამოყვანას, რომლებიც სწორედ ამ ამოცანის განხორციელებისთვისაა შეყვანილი ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების მოქმედების აკრძალვა საქართველოს რესპუბლიკის ამა თუ იმ ტერიტორიაზე რესპუბლიკის ტერიტორიული უზენაესობისა და შესაბამისად მისი სუვერენიტეტის ფაქტობრივი უარყოფაა და ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის ელემენტარულ მოთხოვნებს.

სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება აშკარად ხელყოფს სახელმწიფოდ ჩამოყალიბებული ერის ბუნებრივ უფლებებს, რესპუბლიკის სუვერენიტეტს, მისი ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორიის ხელშეუხებლობას, რაც განმტკიცებულია სსრ კავშირისა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციებით. ბრძანებულება ეწინააღმდეგება ქართველი ხალხისა და რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა სხვა ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს. იგი კი არ აწესრიგებს, არამედ კიდევ უფრო ამწვავებს ისედაც დაძაბულ ეროვნებათაშორის ურთიერთობებს და აქარწყლებს თვით სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის იდეას. ამიტომ ეს ბრძანებულება მიუღებელია, მისი მოქმედება დაუყონებლივ უნდა შეჩერდეს.

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი.

მოსკოვი, კრემლი, სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

ქართველი კინემატოგრაფისტები აფასებენ 1991 წლის 7 იანვრის თქვენს ბრძანებას, როგორც საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის შინაგან საქმეებში ჩარევას. დარწმუნებული ვართ, რომ მსგავსი გადაწყვეტილება ხელს კი არ შეუწყობს სიტუაციის სტაბილიზაციას, პირიქით, შეუძლია გამოიწვიოს მდგომარეობის შემდგომი დაძაბვა. ამიტომ დაბეჯითებით გთხოვთ გააუქმოთ ზემოთ აღნიშნული ბრძანებულება, რაც მოგვცემს საშუალებას კონფლიქტი გადაწყდეს მშვიდობიანად, კონსტიტუციური გზით.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის სამდივნო.

დაუდგეთ ქართველი ძმების გვერდით!

ძვირფასო მეგობრებო! ორი ეროვნების საღი გონების და აზროვნების ადამიანებო!

მოგმართავთ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი ხალხის სახელით. საქართველო საქართველოში დაბადებული და აღზრდილი ყოველი არაქართველის სამშობლოცაა. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ყველანი საქართველოს შვილები ვართ. ოდითგანვე საქართველომ განსაცდელში მყოფი ყოველი არაქართველი ჩაიკრა გულში და მოუარა დღემდე საკუთარი შვილივით. ახლა ყოველი ჩვენგანის ვალია დავდგეთ ქართველი ხალხის გვერდით, დავიცვათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, სიცოცხლის რა ფასადაც უნდა დაგვიჯდეს ჩვენ ეს. ქართველი ხალხის გვერდით უნდა ვიყოთ ჭირშიც და ლხინშიც.

საქართველოს და ქართველი ხალხის ყოველი მტკივნეული იარა გულთან ახლოს უნდა მივიტანოთ, მათ შორის ოსებმაც. ქართველ და ოს ხალხებს ხომ მრავალსაუკუნოვანი, სისხლხორცეული ნათესაობა აკავშირებთ. საქართველო დედაა ყოველი ჩვენგანისათვის. ჩვენ ხომ დავიბადეთ და გავიზარდეთ საქართველოში. დედისათვის ზრუნვა კი ყველა შვილის ვალია. სწორედ დღეს, როგორც არასოდეს სჭირდება საქართველოს და ქართველ ხალხს თანადგომა რესპუბლიკაში მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში.

საქართველოში ავტონომიური ერთეულის შექმნა და გაუქმება სუვერენული საქართველოს საშინაო საქმეა. ამიტომ ცენტრის ჩარევა და პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანებულება ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის აღმაშფოთებელია.

ბატონ გორბაჩოვს უნდა საქართველო აქციოს მეორე ყარაბაღად, დაიღვაროს ძმათა სისხლი. ისედაც, ცენტრის ჩარევის შედეგად უკვე დიდი ხანია რაც კავკასია მთლიანად ცეცხლის ალშია გახვეული. მოვითხოვთ, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტმა გააუქმოს თავისი ბრძანებულება.

ადილფაშა როსტომოღლი,

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული აზერბაიჯანული ასოციაცია „დაიაგის" გამგეობის წევრი, სოციალურ პრობლემათა და ერთაშორის ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე.

(საქინფორმი).

მოსკოვი, კრემლი, სსრ კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს!

საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს კოლექტივი დიდად შეშფოთებულია თქვენი 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით, რომელიც ვითარების დესტაბილიზაციას ახდენს ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყოფილ ტერიტორიაზე. აღნიშნული დოკუმენტი ხელს აძლევს ექსტრემისტებს და ნაციონალ-შოვინისტურ ელემენტებს, რომელთა მოქმედება აქ ვითარებას ძაბავს. თქვენი გამოცემული ბრძანებულება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას მთლიანად უმორჩილებს ცენტრის კონტროლს, რომელსაც სსრ კავშირის შინაგანი ჯარები ახორციელებენ, და მხოლოდ და მხოლოდ იმის ცდაა, რომ საქართველოს რესპუბლიკას წაჰგლიჯონ მისი ოდინდელი მიწები. ამასთან დაკავშირებით წარმოქმნილი უკიდურესად გამწვავებული პოლიტიკური ვითარება საშუალებას არ გვაძლევს სუვერენულ სახელმწიფოში გავაკონტროლოთ მართლწესრიგის დაცვა, რაც საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს სისტემის მრავალათასიანი კოლექტივის სამართლიან აღშფოთებას იწვევს.

გთხოვთ ერთხელ კიდევ ობიექტურად განიხილოთ საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა და გააუქმოთ 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება.

საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს კოლექტივის სახელით: თამაზ გველესიანი, ზურაბ კოპალიანი, ავთანდილ წილოსანი, ირაკლი სულაბერიძე, არჩილ ჩხეტია, გიორგი გორგოძე, თემურ მასპინძელაშვილი, ვალენტინა კირიჩენკო, დიანა ჯინჭარაძე, პავლე ტერსენოვი, ზოია ხაჩიროვა, მარინა მუზაფაროვა, ქეთევან ბირკაძე, დოდო მილორავა და სხვები (სულ 100 ხელმოწერა).

ღია წერილი დეპუტატ ბუჩუკურს

მაპატიეთ, რამეთუ გვარით მოგმართავთ. ჩემი ბრალი არ გახლავთ. სსრკ-ს ემბაზში კომუნისტურმა პარტიამ მოგნათლათ, სახელიც წაგართვათ და ისიც კი დაგავიწყათ ვისი გორისა ხართ.

კრემლის კურანტების რეკვამ მყინვარწვერიდან თავქვე, მინდვრად წამოსულის ქედის ბოლოზედ მდგარი წმინდა სამების ზარების რეკვა დაგავიწყათ, „სოიუზნერუშიმოი" „გერგეტულა", მოხევურისა და მთიულურის ნაცვლად „ჩიჩოტკას" უვლით, ამიტომაც პროგრამა „ვრემიამ" სახელი კი არა „იჩიც" არ გაკადრათ. მანაც კი იცის, რომ თქვენნაირებს სახელი ერთი აქვთ — მოღალატე, დიაღ, ბატონო ბეჩირაუ, დიაღ, ბატონო თაფსირუყო.

ღიმილი მომგვარა თქვენმა გამოჩენამ ეკრანზე. ჩვენ ხომ შეჩვეულები ვართ თქვენნაირ მოღალატეებს. დღეს, იმპერიის თქვენნაირი ლაქიები სამკოდ ჰყავს, ლომისას მადლმა. ერთია, საქართველოს მთის შვილებისგან გვიკვირს, რამეთუ იშვიათია მათი ღალატი. რას იზამთ „გონჯები" თქვენშიც ყოფილა. საქართველოს მთა შეუვალი სალი კლდე იყო ყოველთვის და არის სრულიად საქართველოსათვის. ამიტომ გვტკივა გული მათი შვილების უგვანო საქციელზე.

ბატონო დეპუტატო, ქართველთაგან დაპურებულ და ნაპატივებ ოსებს უპირო მოღალატე თავისიანებს, ოს სეპარატისტებს უთხრან სათქმელი, თქვენ ასე როგორ დაგანაყრათ ოსურმა პატივმა, რომ თვალის დაუხამხამებლად გასწირეთ მშობლიური ერი და მოითხოვეთ სისხლისმსმელი იმპერიის მიერ უკანონოდ გამოცხადებული უმაღლესი სასჯელის სასწრაფოდ სისრულეში მოყვანა. იმ თქვენს ტრიბუნზე ერთი მაინც გეთქვათ, თქვენ, აქ პატივცემულო ოსებო რომ ამაყობთ ქართულ სკოლას 100 წელი ესრულდება, თქვენი საკუთარი სკოლა რატომ არა გაქვთ? სამაჩაბლოს ოსები ამით ხომ განებივრებულები არიან? ქართველი კაცისათვის ჩვეული ხუმრობით გეხუმრა, ჩვენ აქ იმდენი ვართ, ჩვენც გვეკუთვნის ავტონომია თქო. ამას როგორ იტყოდი. შენ ხომ შენი თავი არასოდეს შენვე არ გეყუდნება და არც გინდა გეყუდნოს, შენი მამა-პაპანი კი გულ-მკერდით ჰკვეთდნენ რუსეთის ცეცხლსა და მახვილს იმისათვის, რომ სხვის ბატონობას სიკვდილი ერჩიათ. რა ძლეთი მონის პერანგით დაიბადეთ დეპუტატო რომ შვილებს, შვილიშვილებს, გვარს თემიდან მოკვეთის ტოლფასს განაჩენს უცხადებთ, საბოლოო მონობას უკანონებთ.

ფრთხილად ბუჩუკურო! მალე შემოგწყრება ბატონი. ის ბატონი, სსრკ რომ ჰქვია. თქვენნაირებთან გასწორება, რომ მართლა კარგი იცის, ლიმონივით გამოწურულებს სანაგვეზე რომ მოგისვრით ხოლმე, ნამდვილი ბატონი კი გაჩენის დღიდანვე რომ შემოგწყრომია, ნათელია.

ფრთხილად! რადგან დაგავიწყდება „სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმათ ჯედავენ თა... ანიბიბ... მათაც ცოტა ჭირი არ უნახავთ თავიანთ მიწა-წყლის დაცვის დროს, მათის სისხლის ნაკადულს მიწა ქვეყნელმდის გაუჟღენთავს"... შენ კი ბეჩირაუ, თავფსირუყო ბუჩუკურო, კომუნისტური პარტიის პროდუქტო, როგორ გამეტე ერი უფრო მეტი სისხლისღვრისთვის.

ფრთხილად! ხევისბერები კვლავაც დაარისხებენ ზარებს, დაამწყალობებენ, დალოცავენ ერს, სამარცხვინო ლაქას შენი სახით ჩამოჰბანენ თემს და საქართველო მთის ხალხს ჩვეულებისამებრ სრულიად საქართველოს ამოუყენებენ.

შენ კი, ნავრუზ „და ფანდაგ რასტ!" (გზა მშვიდობისა) ნუ მოგიშლის სხვის კარზე ხეტიალი და მოღალატის სახელი ღმერთმა.

გულიკო ბოჭაძე,
ჟურნალისტი

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ნობელის პრემიის ლაურეატს მშვიდობის განმტკიცების დარგში ბატონ მ. ს. გორბაჩოვს

ბატონო პრეზიდენტო!

ქართველი მწერლები დიდად აღაშფოთა თქვენმა 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებამ, რომელიც ფეხქვეშ თელავს საქართველოს — როგორც სუვერენული რესპუბლიკის — წმიდათაწმიდა უფლებას დაიცვას თავისი ტერიტორიული მთლიანობა, აღადგინოს ისტორიული სამართლიანობა და წესრიგი უძველეს ქართულ მიწაზე.

საქართველოს უზენაესმა საბჭომ ყველაფერი იღონა, რათა დაძაბული ურთიერთობა ქართველებსა და ოს ექსტრემისტებს შორის აშკარა კონფრონტაციაში არ გადაზრდილიყო. მაგრამ ყოველი ცდა ამაო გამოდგა და შარშან 20 სექტემბერს ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ მიიღო დეკლარაცია, რომლის თანახმად ავტონომიური ოლქი საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა. მაშინ არ გამოქვეყნებულა თქვენი მრისხანე ბრძანებულება, რომელიც აღადგენდა სამართლიანობას. ამიტომ საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო ამ შემთხვევაში ერთადერთი მართებული და კანონიერი გადაწყვეტილება — გააუქმებინა უკანონოდ შექმნილი ავტონომიური ფორმირება, რასაც მთლიანად ეთანხმება საქართველოში მცხოვრები ოსების დიდი უმრავლესობა. მრავალმა მათგანმა ზემოაღნიშნული თქვენი ბრძანებულებისადმი პროტესტის ნიშნად უვადო შიმშილობა გამოაცხადა.

აი, ამ გადაწყვეტილებას კი ოპერატიულად მოჰყვა თქვენი უკანონო ბრძანებულება. ნუთუ საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოს ხელისუფლებას არ აქვს უფლება სამართალდამცავი ორგანოების საშუალებით დაიცვას წესრიგი თავის ტერიტორიაზე?

თქვენმა ბრძანებულებამ კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე, რასაც უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა.

საქართველოს მწერალთა კავშირი, თითოეული ქართველი მწერალი მტკიცე პროტესტს გამოთქვამს თქვენი ბრძანებულების გამო და იმედოვნებს, რომ თქვენ ამჯერად მაინც ყურად იღებთ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან მოთხოვნას და გააუქმებთ თქვენს გადაწყვეტილებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართვე-
ლოს განუყო-
ფელი ნაწილი
აჭარა თქვენთან
არის!

მიტინგი უნივერსიტეტის ეზოში.

რუსეთის იმპერიის „პრეზიდენტს" მიხეილ გორბაჩოვს

თქვენი 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება ლენინურ-სტალინური პოლიტიკის ტიპიური ნიმუში და იმპერიის აგონიის კიდევ ერთი დადასტურებაა. კრემლი მის მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების შედეგად გამოწვეული სისხლის ღვრითა და დამსჯელი ექსპედიციებით ცდილობს დანაშაულებრივი იმპერიის შენარჩუნებას, რაც ფაქტობრივად უკვე შეუძლებელია, თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი არასოდეს შერიგებია მონობას, მაგრამ ბრძოლა ყოველთვის ზნეობრივი იყო, იგი, არასოდეს ისახავდა მიზნად საქართველოს მიწაზე მცხოვრები ერების ჩაგვრას, მათ განადგურებას, ერთაშორის შუღლსა და სისხლისღვრას.

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია ყველა საშუალებით აღუდგება წინ იმ მოდელის განხორციელებას, რომელსაც ასეთი წარმატებით უშენებს ხორცი ყარაბაღში, ფერღანაში, მოლდავეთში... ოსი ერი ჩვენი მტერი არ არის, ჩვენი და მათი საერთო მტერი — რუსეთის იმპერიაა, ის იმპერია, რომელმაც ორგზის — 1801 და 1921 წლებში დაიპყრო 30-საუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე საქართველო და რომლის ბრძოლის ძირითადი მიზანი და მიმართულება — ერთიანი, განუყოფელი და თავისუფალი საქართველო იყო და იქნება.

გამომდინარე ზემოთქმულიდან კატეგორიულად გიცხადებთ: შეწყვიტეთ ყოველგვარი სამხედრო დიქტატი, უარი თქვით მენტორის როლზე, რესპუბლიკების საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევაზე და დამონებულ ერებს მიეცით თავის ისტორიულ მიწაწყალზე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საშუალება. ვინაიდან თქვენი იმპერიული ზრახვები სისხლისღვრის აუცილებლობას გკარნახობთ, ჩვენ, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია ვიღებთ ამ გამოწვევას და მზად ვართ უთანასწორო ბრძოლაში — როგორც 9 აპრილს, საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის სამსხვერპლოზე მივიტანოთ ჩვენი სიცოცხლე.

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია

მოსკოვი, კრემლი, მიხეილ გორბაჩოვს

ბატონო პრეზიდენტო!

განცვიფრებული ვართ თქვენი საშობაო დღესასწაულის ასეთი არაქრისტიანული მოლოცვით, რომლითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეთ, რომ მხარს უჭერთ ლოზუნგს — გაუმარჯოს საქართველოს უქართველებოდ! როდემდე გინდათ ქართველების მაგალითზე კვლავაც ასწავლოთ „ჭკუა" დანარჩენ მსოფლიოს? ქართველი ერის გენოციდი თქვენი საპრეზიდენტო მოღვაწეობის უპირველესი ამოცანაა? ხალხი აღარ დაუშვებს საქართველოს ხელმეორე ანექსიას, ჩვენი მიწის მიტაცების მცდელობას. პროტესტს ვუცხადებთ თქვენს მიკერძოებულ განცხადებას. სადესანტო ჯარების გამოყენებით დემოკრატიის ახალ სახეობას ქმნით?! ბატონო პრეზიდენტო, თქვენი უსამართლო სამართალი, ნობელის პრემიით განმტკიცებული, ისტერიულად სასაცილო და უსუსურია, ძალადობა დაღუპვისათვის არის განწირული, სისხლი, რომლის დაღვრითაც ეტყობა სიამოვნება გენიჭებათ, მოგეკითხებათ. დადგება დრო, როდესაც კაცობრიობა ნათლად დაინახავს თქვენს ჭეშმარიტ სახეს. წყეულიმც იყოს თქვენი ანტიქრისტიანული, ანტიადამიანური მოღვაწეობა!..

ავრორა ფანჩულიძე.

მოსკოვი, კრემლი, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

ასლი: საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას

გლდანის რაიონის საზკვების ტრესტის შრომითი კოლექტივი უერთდება რა მთელი ქართველი ხალხის სამართლიან მოთხოვნას, პროტესტს ვაცხადებთ და მოვითხოვთ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ანტიჰუმანური დადგენილების გაუქმებას, მთელი ქართველი ხალხი და საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები სხვადასხვა ერების წარმომადგენლები მიიჩნევენ (შობის დღეს) როგორც ანტიჰუმანურ, ანტიქრისტიანულ და ანტიქართულ აქტს, რაც აქეზებს ოს ექსტრემისტებს და სეპარატისტებს სისხლიანი და არასამართლიანი მოქმედებისაკენ საქართველოს ძირძველ მიწაზე, სამაჩაბლოში.

მიმართვა მიღებულია შრომითი კოლექტივის საერთო კრებაზე.

ტრესტის კოლექტივის სახელით: ნოდარ მანაგაძე, იზოლდა ედილაშვილი, ნუგზარ კოზაკიძე, ვაჟა ბითიევი, მირონ ჩიგოგიძე, თამაზ ელენტი, ალექსანდრე წვერავა და სხვები. სულ 500 კაციანი კოლექტივი.

მოსკოვი, კრემლი, სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექტივი და მათთან ერთად ომისა და შრომის ვეტერანთა საერთო კრება ერთსულოვნად უარყოფს სსრკ კონსტიტუციით დაკანონებული და პირადად თქვენს მიერ აღიარებული სუვერენული რესპუბლიკის — საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის ცდას, რაც გამოიხატა თქვენს 7 იანვრის ბრძანებულებაში ე. წ. სამხრეთ ოსეთის ამბებთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ერთსულოვნად უჭერენ მხარს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას, თავის დროზე უკანონოდ ნორმების უხეში დარღვევით, მკვიდრი ქართული მოსახლეობის ინტერესების შელახვით, ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებულთათვის პრივილეგიების მინიჭებით შექმნილი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების თაობაზე.

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან ქართული მილიციის ნაწილების გაყვანის მოთხოვნა არის სუვერენული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევა. საუბედუროდ, თქვენმა ბრძანებულებამ ბიძგი მისცა ოსი ექსტრემისტების გააქტიურებას და სისხლი დაიღვარა.

უნივერსიტეტის მეცნიერებს გვსურს გაუწყოთ, რომ ქართველი ხალხის მიერ, ეს ბრძანებულება აღქმულია იმგვარად, თითქოს 9 აპრილის სისხლიანი ტრაგიკული ამბების შემდეგ, კიდევ ახალი სისხლისღვრა მზადდებოდეს ჩვენს მრავალტანჯულ რესპუბლიკაში.

ვაცხადებთ რა პროტესტს თქვენი 7 იანვრის ბრძანებულების გამო, გთხოვთ შეაჩეროთ მისი მოქმედება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

გამოვთქვამთ ჩვენს უსაზღვრო აღშფოთებას თქვენი 1991 წლის 7 იანვრის კანონსაწინააღმდეგო, ანტიდემოკრატიული ბრძანებულების გამო, რომელმაც პროვოკაციული როლი შეასრულა, უფრო გაამწვავა ვითარება საქართველოში, კერძოდ, ქვემო ქართლში, საუკუნეების მანძილზე ერთმანეთის გვერდით მცხოვრებ ქართველებსა და ოსებს შორის.

ოსი ექსტრემისტების სეპარატისტული მისწრაფებების და გამთიშველი მოქმედების განკითხვის ნაცვლად, ექსტრემისტებისა, რომელნიც გამოდიან უწინარესად საკუთარი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოდ, ქართველებთან კეთილმეზობლურად რომ უნდა იცხოვრონ არა მარტო ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში", არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, სამწუხაროდ, თქვენ გაგამძვინვარათ საქართველოს უზენაესი საბჭოს კონსტიტუციურმა გადაწყვეტილებამ ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმების შესახებ.

ხალხს ვერავინ მოატყუებს და გააბრიყვებს, რაც არ უნდა მოისურვოს თანამედროვე თვითმპყრობელობამ. ხალხის ყოფიერებიდან ისტორიის ამოგლეჯა შეუძლებელია. ოსი ხალხი საქართველოში მეტყველებს, სწავლობს და წერს წინაპართა ენაზე, ოსურ ენაზე, რომელიც თითქმის სრულიად დავიწყებულია რუსეთში შემავალი ისტორიული ოსეთის ტერიტორიაზე.

თქვენი ბრძანებულება და მთლიანად პოლიტიკა, ობიექტურად ხელს უწყობენ იმას, რომ საქართველოში მცხოვრები ოსები, ერთი ცნობილი რუსული ზღაპრისა არ იყოს, აღმოჩნდნენ დამტვრეული ვარცლის წინაშე.

მოგიწოდებთ გამოიჩინოთ სახელმწიფოებრივი სიბრძნე, მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატს რომ შეეფერება და არ ხელყოთ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლებები.

ჯერ კიდევ დემოკრატიისა და თავისუფლების მოყვარეები, საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „მერანის" თანამშრომლები.

მოსკოვი, კრემლი, სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას

ომისა და შრომის ვეტერანთა თბილისის საქალაქო საბჭოს აქტივი, ქალაქის 145 ათასი ვეტერანის სახელით მოგახსენებთ, რომ თქვენი 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება არ ითვალისწინებს როგორც ქართველი, ისე იმ ოსი მოსახლეობის დიდი ნაწილის ინტერესებს, რომლებიც საქართველოს განუყოფელი ტერიტორიის — სამაჩაბლოს—ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ტერიტორიაზე ცხოვრობს.

ვეტერანთა აზრით აღნიშნული ბრძანებულება სუვერენული რესპუბლიკის საქმეებში უხეში ჩარევაა.

განსაკუთრებით გაუგებარია ბრძანებულების ის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მილიციის გამოყვანას ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან, სადაც ექსტრემისტული ჯგუფები, არღვევენ რა თქვენს ადრინდელ ბრძანებულებას იარაღის ჩაბარების შესახებ, აშინებენ ორივე ეროვნების მოსახლეობას და ადგილი აქვს მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობის ფაქტებს.

ჩვენ, სავსებით ვეთანხმებით ხალხის მიერ არჩეულ საქართველოს უზენაესი საბჭოს ყველა ბრძანებულებას და მხარს ვუჭერთ რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებების გატარებას.

ქალაქის ვეტერანთა სახელით, ომისა და შრომის ვეტერანთა თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი.

მიღებულია ომისა და შრომის ვეტერანთა თბილისის საქალაქო საბჭოს აქტივის კრებაზე 1991 წლის 10 იანვარს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას

სსრ კავშირის პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანებულებამ არა მარტო ჩვენი — სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის შრომითი კოლექტივის, არამედ მთელი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. საზღვრისპირა მრავალეროვან მხარეში მცხოვრებთ, ისედაც მრავალნაირი განსაცდელის მოლოდინში, ერთგვარი შიში გვქონდა გარეშე ძალის დაწოლისა, მაგრამ 7 იანვარს სწორედ ის მოხდა, რისიც ყველაზე მეტად გვეშინოდა: რწმენისა და ჰუმანიზმისაკენ მობრუნებულებს, საშობაო დღესასწაული საბჭოების ქვეყნის პრეზიდენტმა და მისმა კაბინეტმა რესპუბლიკის ახლადარჩეული უმაღლესი საბჭოს აუგად მოხსენიებით და მუშტის მოღერებით დაგვამახსოვრა, საბჭოთა არმია, რომელიც თვითონ „სახალხო არმიას" უწოდებს თავს, ჩვენი ნების თავისუფლებისაკენ მიმავალი გზის დასანგრევ-გადასაკეტად შემოაბრუნა, გასაწვევი ახალგაზრდების ძალით წართმევით და საოკუპაციო არმიის „მამლუქთა" კორპუსში ჩარიცხვით გვემუქრება. გაუგონარი თვითნებობით ახალისებს და დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ განაწყობს ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ სეპარატისტულ ძალებს. წესრიგის დაცვასაც კი გვიკრძალავს ჩვენსავე ტერიტორიაზე, საკუთარ სახლში. მეტი შეურაცხყოფა და დამცირება განა შეიძლება? და ამას აკეთებს ის პიროვნება, რომელიც ახლახან ხმამაღლა ლაპარაკობდა საქართველოს სრულ სუვერენიტეტზე. ბოროტი დაცინვა თუ გნებავთ, ესაა.

ვიწონებთ რა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებებს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებისა და ეროვნული გვარდიის შექმნის თაობაზე, მოვუწოდებთ საქართველოს უზენაეს საბჭოს, არც იფიქროს ამ და სხვა ისტორიული გადაწყვეტილებების გადასინჯვაზეც კი. ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც გვიხატავენ. და თუ სიტუაცია მართლაც უკიდურესად დაიძაბა და გამწვავდა, თან დესანტითაც დაგვაჯილდოვეს, მზად ვართ იქ დავდგეთ, სადაც მოგვიწოდებ, ეროვნული დაუმორჩილებლობა იქნება ეს თუ სისხლისმღვრელი ბრძოლა.

სამცხეთ-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის შრომითი კოლექტივის სახელით: კუკური თორდია, მუზეუმის სწავლული მდივანი, უფროსი მეცნიერ მუშაკები: გრიშა ჯავარიძე, გიორგი ფარცახაშვილი, ნაზი სულაძე, ვერიკო მოდებაძე, ეთერ მერაბიშვილი, იაგო ჩაგელიშვილი, თანამშრომლები: ზურაბ ფეიქრიშვილი, მაიჯანუშ მეიფარჯიანი, ცირა ზენდელიანი, ევგენია ჯაფარიძე, ნანა ჯაფარიძე და სხვები. სულ 80 კაცი

ვგმობთ პრეზიდენტის ბრძანებულებას

ქართველი ერი აღშფოთებულია სსრკ პრეზიდენტის „საშობაო" ბრძანებულებით. ამით ბატონმა პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი პოლიტიკის გამალებული სწრაფვა დიქტატურისაკენ, კიდევ ერთხელ ხელყო რესპუბლიკის სუვერენიტეტი. ეს არის უხეში ჩარევა საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში. ბატონ პრეზიდენტს არა აქვს ამგვარი განცხადების ზნეობრივი უფლება, რამეთუ 9 აპრილის სისხლი ჯერ კიდევ არ შემშრობია ქართულ მიწას.

პროტესტს ვაცხადებთ რა სსრკ პრეზიდენტის „საშობაო" ბრძანებულების წინააღმდეგ, მთლიანად მხარს ვუჭერთ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული პარლამენტის გადაწყვეტილებას ა. წ. ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებისა და ისტორიული სამაჩაბლოს ტერიტორიაზე საკომენდანტო საათის შემოღების თაობაზე.

ქართველი ერი არ დათმობს ისტორიული საქართველოს არც ერთ გოჯ მიწას!

ღმერთი იყოს ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს მფარველი!

თ. დავლიანიძე, ლ. მიქელაძე, ი. იაძე, მ. წურწუმია, ი. ტერაშვილი, თ. თავდიშვილი, . ტერაშვილი, ნ. ურუშაძე, ნ. მიქაძე, ნ. გაზრიაძე, ნ. დავლიანიძე, ნ. ტაბატაძე, ი. ჩხეიძე და სხვები.

ერთ მუშტად — ერის ინტერესებიდან გამომდინარე

დღეს სრულიად საქართველო დიდი პოლიტიკური და მორალური გამოცდის წინაშე დგას. საქართველოში დღესდღეობით შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე ყველანი ერთ მუშტად უნდა გავერთიანდეთ. ყველამ ნებისმიერ პოლიტიკურ ინტერესზე მაღლა უნდა დააყენოს ეროვნული ინტერესი.

ღრმად გვწამს: ყოველი ჩვენთაგანი, ვისაც კი საქართველო თავის სამშობლოდ მიაჩნია, რომელ პარტიასა თუ პოლიტიკურ ძალასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, ასეც მოიქცევა.

გვჯერა: ერთიანი ძალისხმევით ამ, კიდევ ერთ, ისტორიულ გამოცდას გამარჯვებით დავაგვირგვინებთ, რამეთუ იმპერიული გველეშაპის კუდის უკანასკნელი მოქნევის მომსწრეა დღეს ქართველი ერი.

ყველამ ვიცით; საქართველოს ნების გამომხატველმა პარლამენტმა გააბათილა ის იმპერიული ხრიკი, — „გათიშე და იბატონე", — რომელსაც „ოსეთის ავტონომიური ოლქი" ერქვა.

დღეს კრემლი საქართველოს მიმართ კიდევ ერთ მზაკვრულ სვლას ამზადებს და ამ სვლას კიდევაც ეხადა ფარდა პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის ულტიმატუმურ განცხადებაში ქართველი ერის მიმართ, რომელიც სხვას არაფერს თხოულობს საკუთარი სუვერენიტეტისა და კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განხორციელების გარდა.

დღეს, შექმნილ მძიმე ვითარებაში, ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის ვალია მხარში ამოვუდგეთ ეროვნულ პარლამენტს, რომლის არჩევაც ჩვენი ნების გამოხატვა იყო და საქართველოს ძირძველი მიწის არც ერთი გოჯი არ უნდა დავუთმოთ ოკუპანტებს.

დღეს, როგორც არასდროს, უნდა დავივიწყოთ ურთიერთწყენა და დავდგეთ ერთმანეთის გვერდით.

დარწმუნებულები ვართ: ყოველი, ვინც კი ქართული მიწის შვილად თვლის თავს — ფიქრობს ჩვენსავით. ჩვენ ყველას ერთმანეთის იმედი გვასულდგმულებს და თუ კი საქმე უკიდურესობამდე მივიდა ყველანი ერთხმად გამოვუცხადებთ კრემლს ეროვნულ დაუმორჩილებლობას საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივი აღდგენის მოთხოვნით, რამეთუ, დიდ ვაჟას უთქვამს: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ნურც ნურვინ შეგვეცილება..." — და თუ კი ვინმე მაინც შეგვეცილება, ჯერაც არ დაუვიწყია საქართველოს მამა-პაპათა გამოძახილი: „ქართველო ხელი ხმალს იკარ...".

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე.

გიორგი თევზაძე,

სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე;

ალექსანდრე ხესიაშვილი,
კომიტეტის წევრი.

უცხადებენ პროტესტს

გაიმართა საქველმოქმედო საზოგადოება „თბილისელის" საბჭოსა და გამგეობის საგანგებო სხდომა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ და სიტყვებით გამოვიდნენ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე-განმკარგულებელი დავით ციციშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიათმცოდნეობის, თეოლოგიის და ეთიკის კათედრის გამგე, პროფესორი ზურაბ ფორაქიშვილი, საქართველოს მუზეუმის განყოფილების გამგე კოტე ჩოლოყაშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ეთერ ქემერტელიძე, კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარე გივი მინდელი, ეროვნული საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი აკაკი ძიძიგური, კონცერნ „საქკურორტის" პრეზიდენტი ზეზვა ღუღუნიშვილი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გენერალური დირექტორი ზურაბ ლომიძე, საქ. სპორტ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჯანო ბაგრატიონი, საქართველოს სახალხო არტისტი ვახტანგ კიკაბიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ ეგაძე, მწერალი მზექაბუკ ამირეჯიბი, გაზეთ „ცხოვრების" რედაქტორის მოადგილე ოთარ არობელიძე და სხვები.

გამოსულებმა დაგმეს ქრისტეშობის დღეს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის გამოცემული ბრძანებულება. შეკრების მონაწილეებმა საპროტესტო დეპეშა გაუგზავნეს მიხეილ გორბაჩოვს. თხოვნა გაეგზავნა აგრეთვე აკადემიკოს ლიხაჩოვს, რათა მან თავისი უდიდესი მეცნიერისა და ჰუმანისტის ავტორიტეტით, ზემოქმედოს აღნიშნული ბრძანებულების გაუქმების დასაჩქარებლად.

დავიცავთ ახალ საქართველოს

სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება აჭარის მშრომელებმა საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფად აღიქვეს, ამასთან დაკავშირებით, ბათუმის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აჭარის რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში ხალხმრავალი მიტინგები იმართება.

— მხარს ვუჭერთ და ვიწონებთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მტკიცე გადაწყვეტილებას. ამ მძიმე დღეებში ქართველი ხალხი უნდა დაირაზმოს ახალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, თქვეს შუახეველმა მშრომელებმა ალექსანდრე აბაშიძემ, ნოდარ შარაშიძემ, მაყვალა მორჩილაძემ და სხვებმა.

თავისი განწყობილება გადმოგვცა ბათუმის ნავსადგურის დოკერთა ბრიგადის ხელმძღვანელმა გურამ კახიძემ — მოვუწოდებთ ყველა ქართველს, ერთად დავდგეთ ჩვენი სამშობლოსა და ჩვენი ხალხის ღირსების დასაცავად. ვიბრძოლოთ სამშობლოს თავისუფლებისათვის.

გუშინ ბათუმში თეატრალურ მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომლის მონაწილეებმა ერთხმად დაგმეს კრემლის მცდელობა, გათიშულობა შეიტანონ საქართველოს ერთიანობაში, ხალხთა შორის დათესონ შუღლი და უნდობლობა.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ბადრი მელაძე, რაჟდენ ჩაგანავა, მწერლები და ჟურნალისტები შოთა ზოიძე, ნუგზარ ჯაფარიძე, ცისანა ანთაძე, ამირან ხაბაზი, საქართველოს სახალხო არტისტი მანუჩარ შერვაშიძე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი ბიჭიკო დიასამიძე და სხვები.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია; შეგროვდა საპროტესტო ხელმოწერები, რომელიც გაეგზავნა სსრ კავშირის პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვს.

საპროტესტო მიტინგები გრძელდება.

მიხეილ გოგიბლაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ

(გაგრძელება)

თითოეული რაიონის (ქალაქის) სასამართლოსათვის მოსამართლეთა და ადმინისტრაციულ მოსამართლეთა რაოდენობას აწესებს შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროების წარდგინებით.

მუხლი 24. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს უფლებამოსილება

რაიონის (ქალაქის) სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართლის და სისხლის სამართლის ყველა საქმეს;. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც კანონით სხვა სასამართლოს გამგებლობას განეკუთვნება.

რაიონის (ქალაქის) სასამართლო შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, სამართლებრივ დახმარებას უწევს ამხანაგურ სასამართლოებს, აგრეთვე ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 25. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარე

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარე:

1) თავმჯდომარეობს სასამართლო სხდომებს; სასამართლო სხდომების თავმჯდომარედ ნიშნავს მოსამართლეებს, ანაწილებს სხვა მოვალეობებს მოსამართლეთა შორის;

2) ორგანიზაციას უწევს მსაჯულებთან მუშაობას;

3) აწარმოებს პირად მიღებას, ორგანიზაციას უწევს სასამართლო მუშაობას მოქალაქეთა მიღების, მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში;

4) ხელმძღვანელობს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას და სასამართლო სტატისტიკის წარმოებას; შეაქვს წარდგინებები სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და თანამდებობის პირებთან კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

5) წარადგენს დასანიშნად სასამართლოს აღმასრულებლებს, კანცელარიის გამგეს, სხდომის მდივნებს და ორგანიზაციას უწევს მათ მუშაობას, ნიშნავს და ათავისუფლებს სასამართლო აპარატის სხვა მუშაკებს;

6) ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას;

7) ორგანიზაციას უწევს მუშაობას სასამართლოს მუშაკების კვალიფიკაციის, აგრეთვე მსაჯულების სამართლებრივი ცოდნის დონის ასამაღლებლად;

8) ორგანიზაციას უწევს სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და კანონმდებლობის განმარტებისათვის მუშაობას, ამხანაგური სასამართლოებისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენას;

9) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 26. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;

1) თავმჯდომარეობს სასამართლო სხდომებს;

2) აწარმოებს მოქალაქეთა პირად მიღებას;

3) შეაქვს წარდგინებები სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებთან კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

4) ახორციელებს მოვალეობის განაწილების შესაბამისად სასამართლო აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის ხელმძღვანელობას.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს მის ცალკეულ ფუნქციებს და თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან მის მიერ მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობისას ცვლის მას.

მუხლი 27. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის ან მოსამართლის შეცვლა მისი დროებით არყოფნის შემთხვევაში

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნის შემთხვევაში (ავადმყოფობა, შვებულება და ა. შ.) მისი მოვალეობის შესრულება, სადაც არ არის თავმჯდომარის მოადგილე, შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრების მიერ შეიძლება დაეკისროს ამ სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს.

მოსამართლის დროებით არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულება შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრების მიერ შეიძლება დაეკისროს ამ სასამართლოს ადმინისტრაციულ მოსამართლეს ან სხვა რაიონის სასამართლოს მოსამართლეს.

მუხლი 28. მსაჯულთა საბჭო

რაიონის (ქალაქის) სასამართლოსთან იქმნება მსაჯულთა საბჭო.

მსაჯულთა საბჭოს ორგანიზაციის, ამოცანებს და საქმიანობის წესს განსაზღვრავს დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

თავი III

თბილისის საქალაქო სასამართლო

მუხლი 29. თბილისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა

თბილისის საქალაქო სასამართლო შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, წევრებისა და მსაჯულებისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლო მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით:

სასამართლოს პრეზიდიუმი;

სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

მუხლი 30. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების დანიშვნის წესი

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს ამ სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 31. თბილისის საქალაქო სასამართლოს უფლებამოსილება

თბილისის საქალაქო სასამართლო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო; თბილისის რაიონების სასამართლოების სასამართლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებისას შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, აანალიზებს სასამართლო სტატისტიკას, ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 32. თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება თავმჯდომარის, მისი მოადგილეების და წევრების შემადგენლობით. პრეზიდიუმის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე სასამართლო საქმეთა განხილვისას ქალაქ თბილისის პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

მუხლი 33. თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი-

1) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

2) სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს საქალაქო სასამართლოს საქმეთა სასამართლო კოლეგიის და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის შემადგენლობას;

3) განიხილავს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისა და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს;

4) მოისმენს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების ანგარიშებს კოლეგიების საქმიანობის შესახებ; განიხილავს სასამართლოს აპარატის მუშაობის საკითხებს;

5) დახმარებას უწევს თბილისის რაიონის სასამართლოებს კანონმდებლობის სწორედ გამოყენებაში;

6) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 34. თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის მუშაობის წესი

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმს იწვევენ სულ ცოტა თვეში ორჯერ.

პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა.

პრეზიდიუმის დადგენილება მიიღება ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმის უმრავლესობით.

პრეზიდიუმის დადგენილებას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.

მუხლი 35. თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიები

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიასა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას ამტკიცებს თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი ამ სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან.

სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეებს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეთაგან ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში თავისი განკარგულებით ერთი კოლეგიის მოსამართლე საქმის განსახილველად ჩააბას სხვა კოლეგიის შემადგენლობაში.

მუხლი 36. თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიათა უფლებამოსილება

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავენ საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

სასამართლო კოლეგიები შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, აანალიზებენ სასამართლო სტატისტიკას და ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 37. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე:

1) უფლებამოსილია თავმჯდომარეობდეს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე;

2) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შეიდეს სასამართლო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

3) კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილია შეაჩეროს სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა და განჩინებათა აღსრულება;

4) იწვევს სასამართლოს პრეზიდიუმს და თავმჯდომარეობს მის სხდომებს;

5) ხელმძღვანელობს სასამართლო კოლეგიების მუშაობის ორგანიზაციასა და სასამართლოს აპარატის მუშაობას;

6) ორგანიზაციას უწევს მუშაობას სასამართლოს წევრებისა და სასამართლოს აპარატის მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

7) ორგანიზაციას უწევს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას, სასამართლო სტატისტიკის ანალიზს; სახელმწიფო ორგანოებში; საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებთან შეაქვს წარდგინებები კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

8) აწარმოებს პირად მიღებას და ორგანიზაციას უწევს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა მიღების, მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში;

9) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ანაწილებს მოვალეობებს თავმჯდომარის მოადგილეთა შორის.

მუხლი 38. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები:

1) უფლებამოსილი არიან თავმჯდომარეობდნენ კოლეგიების სასამართლო სხდომებს;

2) მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ახორციელებენ სასამართლო კოლეგიებისა და სასამართლოს აპარატის მუშაობის ხელმძღვანელობას;

3) აწარმოებენ მოქალაქეთა პირად მიღებას;

4) ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის უფლებამოვალეობებს მისი დავალებით ახორციელებს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

მუხლი 39. თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები

თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები:

1) თავმჯდომარეობენ კოლეგიების სასამართლო სხდომებს ან ნიშნავენ ამისათვის სასამართლოს წევრებს;

2) ხელმძღვანელობენ შესაბამისი კოლეგიების მუშაობას;

3) ქმნიან სასამართლოს შემადგენლობებს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე საქმეთა განსახილველად;

4) სასამართლოს პრეზიდიუმს წარუდგენენ ანგარიშებს კოლეგიათა საქმიანობის შესახებ;

5) უფლებამოსილი არიან გამოითხოვონ თბილისის რაიონის სასამართლოებიდან სასამართლო საქმეები სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისათვის;

6) ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თავი IV

აფხაზეთის ასსრ უზენაესი სასამართლო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო

მუხლი 40. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლო ორგანოებია

აფხაზეთის ასსრ უზენაესი სასამართლო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლო ორგანოებია.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები ახორციელებენ ზედამხედველობას ავტონომიური რესპუბლიკების ყველა სასამართლოს სასამართლო საქმიანობისადმი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 41. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების ანგარიშვალდებულება

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები უფლებამოსილების პერიოდში ორჯერ მაინც წარუდგენენ თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

მუხლი 42. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების შემადგენლობა

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილის, წევრებისა და მსაჯულებისაგან.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით:

უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი;

სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 43. ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების არჩევის წესი

ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს და მათ მოადგილეებს ირჩევენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები.

მუხლი 44. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო:

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

ზედამხედველობს რაიონის (ქალაქის) სასამართლოების სასამართლო საქმიანობას, აგრეთვე შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, აანალიზებს სასამართლო სტატისტიკას;

ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში.

მუხლი 45. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება თავმჯდომარის, მისი მოადგილის და წევრების შემადგენლობით ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე სასამართლო საქმეთა განხილვისას ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

მუხლი 46. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი:

1) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

2) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს სამოქალაქო სამართლის სასამართლო კოლეგიის და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის შემადგენლობას;

3) განიხილავს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს;

4) ისმენს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების ანგარიშებს კოლეგიათა საქმიანობის შესახებ; განიხილავს სასამართლოს აპარატის მუშაობის საკითხებს;

5) განიხილავს და გადაწყვეტს საკითხებს წარდგინებათა შეტანის შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების წესით და ავტონომიური რესპუბლიკის კანონების განმარტების თაობაზე;

6) დახმარებას უწევს რაიონის (ქალაქის) სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში;

7) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 47. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის მუშაობის წესი

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომები ტარდება სულ ცოტა თვეში ორჯერ.

უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა.

პრეზიდიუმის დადგენილებას იღებენ ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმების უმრავლესობით.

პრეზიდიუმის დადგენილებას ხელს აწერს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 48. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიები

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას ამტკიცებს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან.

სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეებს ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის და წევრების რიცხვიდან.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში თავისი განკარგულებით ერთი კოლეგიის მოსამართლე საქმის განსახილველად ჩააბას სხვა კოლეგიის შემადგენლობაში.

მუხლი 49. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სასამართლოს საქმეთა სასამართლო კოლეგია და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავენ საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

სასამართლო კოლეგიები შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, აანალიზებენ სასამართლო სტატისტიკას და ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 50. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;

1) უფლებამოსილია თავმჯდომარეობდეს კოლეგიების სასამართლო სხდომებს;

2) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შედის სასამართლო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

3) კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილია შეაჩეროს სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა და განჩინებათა აღსრულება;

4) იწვევს სასამართლოს პრეზიდიუმს და თავმჯდომარეობს მის სხდომებზე;

5) ხელმძღვანელობს სასამართლო კოლეგიების მუშაობის ორგანიზაციასა და სასამართლოს აპარატის მუშაობას;

6) ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შეაქვს წარდგინებები იმ საკითხებზე, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის კანონების განმარტებას მოითხოვენ;

7) ორგანიზაციას უწევს მუშაობას სასამართლოს წევრებისა და სასამართლოს აპარატის მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

8) ორგანიზაციას უწევს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას, სასამართლო სტატისტიკის ანალიზს; სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებთან შეაქვს წარდგინებები კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

9) აწარმოებს პირად მიღებას და ორგანიზაციას უწევს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა მიღების, მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში;

10) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 51. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;

1) უფლებამოსილია თავმჯდომარეობდეს კოლეგიების სასამართლო სხდომებს;

2) მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ახორციელებს სასამართლო კოლეგიებისა და სასამართლოს აპარატის მუშაობის ხელმძღვანელობას;

3) აწარმოებს მოქალაქეთა პირად მიღებას;

4) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლება-მოსილებას.

ავტონომიური (რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებს მისი დავალებით ახორციელებს თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 52. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები:

1) თავმჯდომარეობენ სასამართლო სხდომებს იმ კოლეგიებში, რომელთაც ხელმძღვანელობენ ან ნიშნავენ ამისათვის სასამართლოს წევრებს;

2) ხელმძღვანელობენ შესაბამისი კოლეგიების მუშაობას;

3) ქმნიან სასამართლოს შემადგენლობებს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე საქმეთა განსახილველად;

4) ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს წარუდგენენ ანგარიშებს კოლეგიათა საქმიანობის შესახებ;

5) უფლებამოსილი არიან გამოითხოვონ რაიონის (ქალაქის) სასამართლოებიდან სასამართლო საქმეები სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისათვის;

6) ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თავი V

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო

მუხლი 53. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანოა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო უმაღლესი სასამართლო ორგანოა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო ახორციელებს ზედამხედველობას საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს სასამართლო საქმიანობაზე საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 54. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ანგარიშვალდებულება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო უფლებამოსილების პერიოდში არანაკლებ ორჯერ წარუდგენს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

მუხლი 55. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, წევრებისა და მსაჯულებისაგან და მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით:

უზენაესი სასამართლოს პლენუმი;

უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი;

სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 56. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის წესი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით.

მუხლი 57. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო:

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, აანალიზებს სასამართლო სტატისტიკას და სასამართლოებს აძლევს სახელმძღვანელო განმარტებებს სასამართლო საქმეთა განხილვისას წამოჭრილ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებანი სავალდებულოა სასამართლოებისათვის, სხვა ორგანოებისა და თანამდებობის პირთათვის, რომლებიც იყენებენ ამ კანონს;

ახორციელებს კონტროლს საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებათა შესრულებაზე;

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტს საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საკითხებს;

ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში.

მუხლი 58. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, წევრების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების შემადგენლობით.

პლენუმის სხდომებში მონაწილეობენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი. საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მონაწილეობა პლენუმის მუშაობაში სავალდებულოა.

პლენუმის სხდომებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოწვევით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მოსამართლეებმა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოსთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

მუხლი 59. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი:

1) განიხილავს სასამართლო პრაქტიკისა და სასამართლო სტატისტიკის შესწავლისა და განზოგადების მასალებს, სასამართლოებს აძლევენ სახელმძღვანელო განმარტებებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე; სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო განმარტებების მიცემის საკითხებს განხილვისას მოისმენს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რაიონის (ქალაქის) სასამართლოების თავმჯდომარეთა ინფორმაციებს სასამართლო პრაქტიკაში კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე;

2) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს სასამართლო კოლეგიათა შემადგენლობას და პლენუმის მდივანს;

3) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოსთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს;

4) განიხილავს და წყვეტს საკითხებს წარდგინებათა შეტანის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების წესით, ასევე კანონების განმარტების თაობაზე;

5) ისმენს ინფორმაციებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების ანგარიშებს კოლეგიების საქმიანობის თაობაზე;

6) განიხილავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე შეტანილ საზედამხედველო პროტესტებს;

7) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 60. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ საკითხების განხილვა

ამ კანონის შესაბამისად პლენუმის განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ან საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მიერ შეტანილ საკითხებზე მოისმენენ შესაბამისად მათ მოხსენებებს ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მოხსენებებს. ამასთან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ან საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მიერ განსახილველად შეტანილ საკითხებზე საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი აძლევს დასკვნას. ამ საკითხების განხილვაში აგრეთვე შეიძლება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომებზე მოწვეულმა პირებმა.

სახელმძღვანელო განმარტებათა შესახებ დადგენილების პროექტის მომზადებისათვის პლენუმი საჭიროების შემთხვევაში პლენუმის წევრთა რიცხვიდან ქმნის სარედაქციო კომისიას.

მუხლი 61. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის მუშაობის წესი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმს იწვევენ ოთხ თვეში ერთხელ მაინც. პლენუმის მოწვევის დროისა და მის განსახილველად შეტანილი საკითხების შესახებ სხდომამდე არაუგვიანეს თხუთმეტი დღისა აცნობებენ პლენუმის წევრებს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს.

პლენუმის დადგენილებათა პროექტები სხდომის დაწყებამდე არაუგვიანეს ათი დღისა ეგზავნებათ პლენუმის წევრებს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მისი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. პლენუმის დადგენილებას იღებენ ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პლენუმის წევრთა ხმების უმრავლესობით.

პლენუმის დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და პლენუმის მდივანი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის მდივანი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან ერთად ეწევა ორგანიზაციულ მუშაობას პლენუმის სხდომების მოსამზადებლად, უზრუნველყოფს ოქმის შედგენას და ასრულებს საჭირო მოქმედებებს პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებათა განსახორციელებლად.

მუხლი 62. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების და წევრების შემადგენლობით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე სასამართლო საქმეთა განხილვისას საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს იწვევენ თვეში ერთხელ მაინც.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის შემადგენლობის უმრავლესობა.

პრეზიდიუმის დადგენილებას იღებენ ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმების უმრავლესობით და მას ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 63. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი:

1) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

2) განიხილავს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს;

3) განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებისა და აპარატის მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს;

4) დახმარებას უწევს ქვემდგომ სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში; ამასთან ახდენს ამ საქმიანობის კოორდინაციას საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან;

5) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 64. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრთა რიცხვიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში თავისი განკარგულებით ერთი კოლეგიის მოსამართლე საქმის განხილვისათვის ჩააბას სხვა კოლეგიის შემადგენლობაში.

მუხლი 65. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავენ საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

სასამართლო კოლეგიები შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, აანალიზებენ სასამართლო სტატისტიკას და ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 66. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე:

1) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შედის სასამართლო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

2) კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილია შეაჩეროს სასამართლო საქმეებზე გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულება;

3) იწვევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმს და თავმჯდომარეობს პლენუმის სხდომებს;

4) იწვევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს და მის განსახილველად შეაქვს საკითხები, თავმჯდომარეობს პრეზიდიუმის სხდომებს; შეუძლია ითავმჯდომარეოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე ნებისმიერი საქმის განხილვისას;

5) ორგანიზაციას უწევს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას, სასამართლო სტატისტიკის ანალიზს; სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებთან შეაქვს წარდგინებები კანონის დარღვევის, სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ, აგრეთვე ორგანიზაციას უწევს მუშაობას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებათა შესრულებაზე კონტროლის განსახორციელებლად და შეაქვს მასალები პლენუმის განსახილველად;

6) საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარუდგენს ანგარიშს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საქმიანობის შესახებ:

7) საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შეაქვს წარდგინებები იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კანონების განმარტებას მოითხოვენ;

8) ანაწილებს მოვალეობებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის;

9) ხელმძღვანელობს სასამართლო კოლეგიათა მუშაობის ორგანიზაციას და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს აპარატის მუშაობას;

10) აწარმოებს პირად მიღებას და ორგანიზაციას უწევს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა მიღების, მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისათვის;

11) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 67. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები:

1) უფლებამოსილი არიან თავმჯდომარეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს კოლეგიათა სასამართლო სხდომებს;

2) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შედიან სასამართლო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

(დასასრული მე-4 გვ.).

საქართველოს რესპუბლიკის კანონი
საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ

(დასასრული)

3) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილი არიან შეაჩერონ სასამართლო საქმეებზე გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულება;

4) მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ახორციელებენ ხელმძღვანელობას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა და აპარატის სტრუქტურული ქვეგანაყოფების მუშაობაზე;

5) აწარმოებენ მოქალაქეთა პირად მიღებას;

6) ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო პირველი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 68. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიისა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარეები;

1) თავმჯდომარეობენ სასამართლო სხდომებს იმ კოლეგიაში, რომელსაც ხელმძღვანელობენ, ან ამისათვის ნიშნავენ სასამართლოს წევრებს;

2) ქმნიან სასამართლო შემადგენლობებს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე საქმეთა განსახილველად;

3) ხელმძღვანელობენ შესაბამისი კოლეგიების მუშაობას;

4) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმს წარუდგენენ ანგარიშებს კოლეგიების საქმიანობის შესახებ;

5) უფლებამოსილი არიან გამოითხოვონ სასამართლო საქმეები სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისათვის;

6) ორგანიზაციას უწევენ მუშაობას შესაბამისი სასამართლო კოლეგიის სასამართლოს წევრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

7) ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას

მუხლი 69. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ბიულეტენი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო გამოსცემს „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ბიულეტენს".

კარი III

მოსამართლეები და მსაჯულები

მუხლი 70. მოთხოვნები, რომლებიც წარედგინებათ მოსამართლეობისა და მსაჯულობის კანდიდატებს

რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის), თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 27 წელი, ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, იურიდიული სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული — საკვალიფიკაციო გამოცდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, იურიდიული სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის სტაჟი, მათ შორის, როგორც წესი, მოსამართლედ მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი, ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და იურიდიული სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის სტაჟი, მათ შორის, როგორც წესი, მოსამართლედ მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.

მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 25 წელი და ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში —ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას.

მუხლი 71. მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევა და წარდგენა.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევს და წარადგენს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, ავტონომიურ რესპუბლიკებში — ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით, საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევენ და წარადგენენ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოთა თავმჯდომარეები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით, საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევს და წარადგენს ამ სასამართლოს თავმჯდომარე საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

მოსამართლედ პირველად დასახელებული კანდიდატები პროფესიულ მომზადებას გადიან საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 72. მოსამართლეთა დანიშვნის ან არჩევის, მსაჯულთა არჩევის წესი

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით.

ავტონომიური რესპუბლიკების რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებს ნიშნავს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, ავტონომიურ რესპუბლიკებში — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოთა თავმჯდომარეების წარდგინებით, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით. თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულებს ირჩევს ქალაქის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მსაჯულებს ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 73. მოსამართლეებისა და მსაჯულების უფლებამოსილების ვადები

ყველა სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავენ ან ირჩევენ ათი წლის ვადით.

ყველა სასამართლოს მსაჯულებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

მუხლი 74. მსაჯულთა ანგარიშვალდებულება

მსაჯულები ანგარიშვალდებულნი არიან მათი ამრჩევი ორგანოების ან ამომრჩეველთა წინაშე და ანგარიშს აბარებენ მათ.

მუხლი 75. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაცია

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დადგენილი წესით მოსამართლეები გადიან ატესტაციას; ატესტაციის შედეგების კვალიფიკაციისა და მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით მათ მიენიჭებათ საკვალიფიკაციო კლასები.

მუხლი 76. სასამართლოში ასარჩევ მსაჯულთა რაოდენობა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში ასარჩევ მსაჯულთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში ასარჩევ მსაჯულთა რაოდენობას განსაზღვრავენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების წარდგინებით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოებში და თბილისის საქალაქო სასამართლოში ასარჩევ მსაჯულთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით.

მუხლი 77. სასამართლოში მოვალეობათა შესასრულებლად მსაჯულების მოწვევის ვადა

მსაჯულებს სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად მოიწვევენ რიგის მიხედვით, ვადით არაუმეტეს ორი კვირისა წელიწადში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვადის გაგრძელება აუცილებელია მათი მონაწილეობით დაწყებული სასამართლო საქმის განხილვის დასამთავრებლად.

მუხლი 78. მსაჯულებისათვის მატერიალური და სხვა ანაზღაურებისა და შეღავათების შენარჩუნება სასამართლოში მათ მიერ მოვალეობათა შესრულების დროს

მსაჯულებს სასამართლოში მოვალეობის შესრულების განმავლობაში გარანტირებული აქვთ მუდმივ სამუშაო ადგილას საშუალო ხელფასის შენარჩუნება და ამასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ანაზღაურება.

რაც შეეხება სხვა ანაზღაურებებსა და შეღავათებს, სასამართლოში მოვალეობის შესრულების დრო გათანაბრებულია ძირითადი სამუშაოს შესრულების დროსთან.

მუხლი 79. მოსამართლეთა კონფერენცია

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის), საქალაქო სასამართლოების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეებს, ადმინისტრაციულ მოსამართლეებს წელიწადში არანაკლებ ერთხელ იწვევენ მოსამართლეთა კონფერენციებზე.

მოსამართლეთა კონფერენციები განიხილავენ სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილი კანონმდებლობის გამოყენების საკითხებს, მიმართავენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წინადადებებზე სახელმძღვანელო განმარტების მიცემის, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგინების ან კანონის განმარტების შესახებ წარდგინების შეტანის თაობაზე, აგრეთვე ირჩევენ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს.

მუხლი 80. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს ირჩევენ რაიონის (ქალაქის) და ზემდგომი სასამართლოების მოსამართლეთა რიცხვიდან. რაიონის (ქალაქის) მოსამართლეები კოლეგიის წევრთა ნახევარს მაინც უნდა შეადგენდნენ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების შემადგენლობაში არ შედიან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო კოლეგიას უზენაესი სასამართლოს წევრთა რიცხვიდან ირჩევს ამ სასამართლოს პლენუმი.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის რაოდენობრივი შემადგენლობა მისი არჩევის დროს განისაზღვრება.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია აირჩევა ხუთი წლის ვადით.

მუხლი 81. საკვალიფიკაციო კოლეგიების უფლებამოსილება

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები:

აფასებენ მოსამართლედ და ადმინისტრაციულ მოსამართლედ პირველად დასახელებული კანდიდატის მზადყოფნას სასამართლო საქმიანობისათვის და უწყობენ მას საკვალიფიკაციო გამოცდას;

იძლევიან დასკვნას მოსამართლეთა გაწვევის საკითხის შესახებ;

განიხილავენ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

მუხლი 82. მოსამართლეთა და მსაჯულთა ვადამდე განთავისუფლება და გაწვევა

მოსამართლეებს და მსაჯულებს შეიძლება ვადამდე ჩამოერთვათ უფლებამოსილება სასამართლო საქმეების განხილვისას კანონის უხეში დარღვევისათვის ან მათი მაღალ წოდებასთან შეუთავსებელი სახელის გამტეხი საქციელისათვის, აგრეთვე მათ მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის გამო.

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეები და მსაჯულები შეიძლება ვადამდე გათავისუფლდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებისაგან:

ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობის გამო, რომელიც ხელს უშლის მუშაობის გაგრძელებას;

სხვა თანამდებობაზე არჩევის ან მათი თანხმობით სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო;

საკუთარი სურვილით.

მოსამართლეთა და მსაჯულთა ვადამდე გათავისუფლების და გაწვევის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულებით საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა ვადამდე გათავისუფლების და გაწვევის შესახებ.

მუხლი 83. გამოკლებულთა ნაცვლად მოსამართლეების არჩევა (დანიშვნა) და მსაჯულების არჩევა

გამოკლებულის ნაცვლად საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეების, ადმინისტრაციულ მოსამართლეთა დანიშვნა და მსაჯულების არჩევა ხდება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 84. მოსამართლეთა და მსაჯულთა ხელშეუხებლობა

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეები, აგრეთვე მსაჯულები სასამართლოში მათ მიერ მოვალეობათა შესრულების დროს არ შეიძლება მოცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან დაპატიმრებული მათი დამნიშნავი ან ამრჩევი ორგანოს თანხმობის გარეშე.

არ დაიშვება მოსამართლის, აგრეთვე მსაჯულის დაკავება, იძულებით მოყვანა ან ადმინისტრაციული სახდელის ღონისძიების გამოყენება სასამართლოში მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების დროს.

მუხლი 85. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

მოსამართლე შეიძლება მიეცეს დისციპლინურ პასუხისგებაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა ვადამდე განთავისუფლების და გაწვევის შესახებ დებულებით გათვალისწინებული წესით:

1) სასამართლოში საქმეთა განხილვისას კანონის დარღვევისათვის;

2) სხვა სამსახურებრივი გადაცდომისათვის;

3) სახელის გამტეხი საქციელისათვის.

კარი IV

ადმინისტრაციული მოსამართლეები

მუხლი 86. ადმინისტრაციულ მოსამართლეთა დანიშვნა

ადმინისტრაციული მოსამართლეები არიან რაიონის (ქალაქის) სასამართლოებში.

ადმინისტრაციულ მოსამართლედ შეიძლება დანიშნულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, შეუსრულდა 25 წელი, ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა და ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას.

ადმინისტრაციულ მოსამართლეს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, ავტონომიურ რესპუბლიკებში იუსტიციის მინისტრები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით, ხუთი წლის ვადით.

მუხლი 87. ადმინისტრაციულ მოსამართლეთა უფლებამოსილება

ადმინისტრაციული მოსამართლეები:

განიხილავენ საქმეებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ;

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით ახორციელებენ კონტროლს სასამართლო კანცელარიისა და სასამართლო აღმასრულებელთა მუშაობისადმი;

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში იხილავენ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სასამართლოებისა და სხვა ორგანოების გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 88. ადმინისტრაციული მოსამართლეების ვადამდე გათავისუფლება

ადმინისტრაციული მოსამართლეები შეიძლება ვადამდე გათავისუფლდნენ კანონიერების დარღვევისათვის ან მოსამართლის წოდებასთან შეუთავსებელი საქციელისათვის.

კარი V

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციის სხვა საკითხები

მუხლი 89. სასამართლო აღმასრულებლები

სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულებას, სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულებას ქონებრივი გადახდევინების ნაწილში, აგრეთვე სხვა გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა აღსრულებას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აწარმოებენ სასამართლო აღმასრულებლები.

სასამართლო აღმასრულებლები იმყოფებიან სასამართლოებთან და მათ ნიშნავს შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრები.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, სადაც ორი და მეტი სასამართლო აღმასრულებელია, ერთ-ერთი მათგანი დაინიშნება უფროს აღმასრულებლად.

სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნები სასამართლოს იმ განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების, სხვა გადაწყვეტილებებისა და დადგენილების აღსრულების შესახებ, რომლებიც აღსასრულებელია კანონმდებლობის შესაბამისად, სავალდებულოა ყველა სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოოპერატივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის.

მუხლი 90. სასამართლო სხდომის მდივნები

პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები იხილება სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობით.

სასამართლო სხდომის მდივნის უფლებებს და მოვალეობებს, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში მისი მონაწილეობის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო და საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები.

მუხლი 91. სასამართლოს აპარატი

მართლმსაჯულების განხორციელების, სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადების, სასამართლო სტატისტიკის ანალიზის, აგრეთვე სასამართლოს სხვა ფუნქციების შესრულებისათვის საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოებში მოქმედებს სასამართლოს აპარატი.

მუხლი 92. საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების აპარატის სტრუქტურა და შტატები

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს აპარატის სტრუქტურას და საშტატო რაოდენობას ადგენენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსათვის დადგენილი წესით გამოყოფილი საშტატო რაოდენობის და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების და თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატების სტრუქტურასა და საშტატო რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადების და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და პროპაგანდისათვის მუშაობის ჩასატარებლად და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციათა შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს აპარატის შემადგენლობაში იქმნება განყოფილებები და სხვა სტრუქტურული ქვეგანაყოფები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებს და განყოფილებებს ჰყავთ უფროსი კონსულტანტები და კონსულტანტები, ინსპექტორები, აგრეთვე სხვა მუშაკები და უმცროსი მომსახურე პერსონალი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურას და საშტატო რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საშტატო განრიგს, განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა დებულებებს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 93. საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების ბეჭედი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, რაიონის (ქალაქის) სასამართლოებს აქვთ ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და თავისი სახელწოდებით,

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება
„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ"
საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის
კანონი
საქართველოს რესპუბლიკაში
მოსამართლის სტატუსის შესახებ

კარი I

ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. მოსამართლე და მსაჯული

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები შეიძლება იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებიც დანიშნული არიან საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები შეიძლება იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებიც არჩეული არიან აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოებსა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში.

მსაჯულები შეიძლება იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებიც დადგენილი წესით არჩეული არიან საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოებში, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რაიონის (ქალაქის) სასამართლოებში.

მსაჯულები მართლმსაჯულების განხორციელებისას სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებით.

მუხლი 2. მოსამართლისა და მსაჯულისადმი წაყენებული მოთხოვნები

მოსამართლე და მსაჯული მართლმსაჯულებას უნდა ახორციელებდნენ საქართველოს რესპუბლიკის კანონების ზუსტი შესაბამისობით, დამოუკიდებლად, ამასთან, იყვნენ სამართლიანნი, ჰუმანურნი, პრინციპულნი და მიუკერძოებელნი.

კარი II

მოსამართლისა და მსაჯულის დამოუკიდებლობის გარანტიები

მუხლი 3. მოსამართლისა და მსაჯულის დამოუკიდებლობა

მოსამართლე და მსაჯული დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მოსამართლისა და მსაჯულის დამოუკიდებლობას განაპირობებს მათი არჩევის (დანიშვნის) და გათავისუფლების კანონით დადგენილი წესი, მოსამართლისა და მსაჯულის ხელშეუხებლობა, მართლმსაჯულების განხორციელების მკაცრი იურიდიული პროცედურა, გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლეთა თათბირის საიდუმლობა და მისი გამხელის მოთხოვნის აკრძალვა. პასუხისმგებლობა სასამართლოს მიმართ უპატივცემლობისათვის ან კონკრეტულ საქმეთა გადაწყვეტაში ჩარევისათვის, სასამართლოების საქმიანობისათვის საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური პირობების შექმნა, აგრეთვე მოსამართლის მაღალი სტატუსის შესაფერისი მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფა.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა სასამართლოს უპატივცემლობისათვის

საქმის მონაწილე პირთა ან სასამართლო სხდომის დამსწრე მოქალაქის მხრივ სასამართლოს მიმართ უპატივცემლობის გამოვლენა ან ისეთი მოქმედების ჩადენა, რომელიც სასამართლოს აშკარა უგულებელყოფას მოწმობს, იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. სასამართლო საქმეების გადაწყვეტაში ჩარევის დაუშვებლობა

მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლისა და მსაჯულის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია.

კონკრეტული საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის დაბრკოლების ან უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მიღწევის მიზნით მოსამართლეზე ან მსაჯულზე ზემოქმედება, რა ფორმითაც უნდა მოხდეს იგი, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება არა აქვთ წინასწარ განსაზღვრონ თავიანთ ცნობებში კონკრეტული საქმის გამო სასამართლო განხილვის შედეგები ან სხვაგვარად მოახდინონ ზემოქმედება სასამართლოზე გადაწყვეტილების ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

მუხლი 6. მოსამართლისა და მსაჯულის ხელშეუხებლობა

მოსამართლე ან მსაჯული სასამართლოში თავისი მოვალეობის შესრულებისას არ შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისგებაში, ან დაპატიმრებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმების თანხმობის გარეშე.

მოსამართლის ან მსაჯულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა შეუძლია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმების თანხმობით. ამასთან ერთად წყდება მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერების საკითხი. გამოძიებისადმი ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი.

მოსამართლისა და მსაჯულის მიმართ სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების მოსამართლეთა და მსაჯულთა მიმართ — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოებს.

არ დაიშვება დაკავება, იძულებით მოყვანა ან ადმინისტრაციული სახდელის ღონისძიებათა გამოყენება მოსამართლის მიმართ, აგრეთვე მსაჯულის მიმართ, როდესაც ისინი ასრულებენ თავიანთ მოვალეობას სასამართლოში.

მუხლი 7. მსაჯულის შრომის უფლებების გარანტია

მსაჯულის დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით ან დისციპლინური სახდელის წესით გადაყვანა ნაკლებხელფასიან სამუშაოზე მისი უფლებამოსილების პერიოდში დაიშვება, ზოგადი წესის დაცვის გარდა, მხოლოდ მსაჯულის ამრჩევი შრომითი კოლექტივის თანხმობით.

კარი III

მოსამართლის არჩევა (დანიშვნა), მსაჯულთა არჩევნები

მუხლი 8. მოსამართლეობისა და მსაჯულობის კანდიდატებისადმი წაყენებული მოთხოვნები

რაიონის (ქალაქის) მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 27 წელი, იცის ქართული ენა, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული საკვალიფიკაციო გამოცდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი, ფლობს ქართულ ენას, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, იურიდიული სპეციალობით მუშაობის ხუთი წლის სტაჟი, მათ შორის, როგორც წესი, მოსამართლედ მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი, ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სულ ცოტა ხუთი წლის იურიდიული სპეციალობით მუშაობის სტაჟი, მათ შორის, როგორც წესი, მოსამართლედ მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.

მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა 25 წელი და ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას.

მუხლი 9. მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევა

მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევენ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოები ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

მოსამართლეობის კანდიდატებად პირველად რეკომენდებული პირნი პროფესიულ მომზადებას გადიან იმ წესითა და შემთხვევებში, რომლებსაც განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევს და წარადგენს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, ავტონომიურ რესპუბლიკებში — ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევენ და წარადგენენ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე ამ სასამართლოების თავმჯდომარეები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევს და წარადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 10. მოსამართლეთა არჩევის (დანიშვნის), მსაჯულთა არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადები

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით.

ავტონომიური რესპუბლიკების რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებს ნიშნავენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების წარდგინებითა და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით.

ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები ამ სასამართლოების თავმჯდომარეების წარდგინებითა და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით, კენჭისყრით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულებს ირჩევს ქალაქის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მსაჯულებს ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

ყველა სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავენ ან ირჩევენ ათი წლის ვადით, ხოლო მსაჯულებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

ადმინისტრაციულ მოსამართლეებს ნიშნავენ ხუთი წლის ვადით.

თუ მოსამართლეს ან მსაჯულს უფლებამოსილების ვადა გაუდის სასამართლო საქმის განხილვისას, მას უფლებამოსილება გაუგრძელდება. ამ საქმის განხილვის დამთავრებამდე.

მსაჯულის სასამართლოში მოწვევა მოვალეობის შესასრულებლად ხდება რიგითობის წესით, არა უმეტეს ორი კვირისა წელიწადში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვადის გაგრძელება აუცილებელია მისი მონაწილეობით დაწყებული სასამართლო საქმის განხილვის დასამთავრებლად.

მუხლი 11. მოსამართლისა და მსაჯულის ფიცი

პირველად დანიშნული ან არჩეული მოსამართლე და პირველად არჩეული მსაჯული დებენ ფიცს.

მოსამართლისა და მსაჯულის ფიცის ტექსტს, აგრეთვე ფიცის დადების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

კარი IV

მოსამართლისა და მსაჯულის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 12. მოსამართლისა და მსაჯულის უფლებები

მოსამართლესა და მსაჯულს აქვთ მართლმსაჯულების განსახორციელებლად საჭირო უფლებამოსილება.

მოსამართლეს აგრეთვე აქვს უფლება:

მოსთხოვოს თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს შეასრულონ მისი განკარგულებანი, რომლებიც დაკავშირებულია მოსამართლეებისათვის კანონით დაკისრებული მოვალეობების განხორციელებასთან;

შეიტანოს სახელმწიფო ორგანოებში, კოოპერატივებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და თანამდებობის პირებთან წარდგინებანი კანონის დარღვევების ან დარღვევის ხელშემწყობი მიზეზების და პირობების აღმოფხვრის შესახებ;

გამოითხოვოს მისთვის საჭირო ინფორმაცია.

სახელმწიფო ორგანოები, კოოპერატივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი ვალდებულნი არიან შეასრულონ მოსამართლის მოთხოვნები.

მუხლი 13. მოსამართლისა და მსაჯულის მოვალეობანი

მოსამართლეები და მსაჯულები სამოქალაქო სამართლის საქმეების, სისხლის სამართლის საქმეე-

(დასასრული მე-5 გვ.ზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ

(დასასრული)

ბისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალე არიან ზუსტად შეასრულონ კანონის მოთხოვნები, უზრუნველყონ მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, სახელისა და ღირსების, საზოგადოების ინტერესების დაცვა, სასამართლო საქმიანობის მაღალი კულტურა და აღმზრდელობითი ზემოქმედება, იყვნენ სამართლიანნი და ჰუმანურნი.

მსაჯულები მოვალე არიან ეუფლებოდნენ სამართლებრივ ცოდნას, მოემზადონ ყოველი საქმის სასამართლო გარჩევისათვის.

მოსამართლეებმა წინასწარ უნდა გააცნონ მსაჯულებს განსახილველი საქმეები, მოქმედი კანონმდებლობა და მისი გამოყენების პრაქტიკა.

მოსამართლეებსა და მსაჯულებს არა აქვთ უფლება გაამჟღავნონ მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება და დახურული სასამართლო სხდომების ჩატარებისას მიღებული ცნობები.

მსაჯულები მოვალე არიან დროულად გამოცხადდნენ სასამართლოში მართლმსაჯულების განსახორციელებლად.

მსაჯულთა სასამართლოში გამოძახების უზრუნველყოფა სავალდებულოა იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისათვის, სადაც მუშაობს ან სწავლობს მსაჯული.

კარი V

მოსამართლეთა კონფერენციები, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები

მუხლი 14. მოსამართლეთა კონფერენციები

საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედებენ:

საქართველოს რაიონის (ქალაქის), საქალაქო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციები, ავტონომიური რესპუბლიკების რაიონის (ქალაქის) და უზენაესი სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციები;

მოსამართლეთა კონფერენციები განიხილავენ სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილ კანონმდებლობის გამოყენების საკითხებს, მიმართავენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს წინადადებებით სახელმძღვანელო განმარტების მიცემის, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგინების ან კანონის განმარტების შესახებ წარდგინების შეტანის თაობაზე.

კონფერენციები ირჩევენ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს.

კონფერენციების მოწვევისა და მოწყობის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 15. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები აირჩევა მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევისა და მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიების გაძლიერების მიზნით.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები აირჩევა ამ კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული მოსამართლეთა კონფერენციების მიერ მოსამართლეთა რიცხვიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის ამავე სასამართლოს წევრთა რიცხვიდან ირჩევს ამ სასამართლოს პლენუმი.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევის წესს და საქმიანობის ორგანიზაციას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

კარი VI

მოსამართლისა და მსაჯულის გაწვევა და ვადამდე განთავისუფლება. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა

მუხლი 16. მოსამართლისა და მსაჯულის გაწვევა და ვადამდე განთავისუფლება

მოსამართლესა და მსაჯულს შეიძლება ვადამდე ჩამოართვას უფლებამოსილება მხოლოდ მათმა ამრჩევმა (დამნიშნავმა) ორგანომ კანონის უხეში დარღვევის ან სახელის გამტეხი საქციელის ჩადენისათვის, რომელიც შეუთავსებელია მის მაღალ წოდებასთან, აგრეთვე მათ მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამო.

მოსამართლე ან მსაჯული შეიძლება ვადამდე გათავისუფლდეს დაკისრებული მოვალეობების შესრულებისაგან:

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რომელიც ხელს უშლის მუშაობის გაგრძელებას;

სხვა თანამდებობაზე არჩევის ან მისი თანხმობით სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო;

საკუთარი სურვილით.

მოსამართლის გაწვევის საკითხი წყდება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიისა და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს დასკვნების გათვალისწინებით.

მოსამართლისა და მსაჯულის გაწვევისა და ვადამდე გათავისუფლების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 17. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა

მოსამართლე შეიძლება მიეცეს დისციპლინურ პასუხისგებაში:

სასამართლო საქმეების განხილვისას კანონიერების დარღვევისათვის;

სხვა სამსახურებრივი გადაცდომისათვის;

სახელის გამტეხი საქციელისათვის.

დისციპლინურ პასუხისგებაში მოსამართლის მიცემის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

კარი VII

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 18. მოსამართლის საკვალიფიკაციო ატესტაცია

მოსამართლე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დადგენილი წესით გადის ატესტაციას, რომლის შედეგების მიხედვით მას ენიჭება საკვალიფიკაციო კლასი.

მოსამართლის საკვალიფიკაციო ატესტაციის ჩატარების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 19. მოსამართლის მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფა

მოსამართლეს ხელფასი უწესდება საკვალიფიკაციო ატესტაციის მიერ მინიჭებული საკვალიფიკაციო კლასის გათვალისწინებით.

მმართველობის ადგილობრივი ორგანოები მოვალენი არიან არჩევიდან (დანიშვნიდან) არა უგვიანეს ექვსი თვის ვადაში უზრუნველყონ მოსამართლე კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინით.

მუხლი 20. მოსამართლის შეთავსებით მუშაობა

მოსამართლის მუშაობა შეთავსებით დაიშვება პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისას.

მუხლი 21. მსაჯულისათვის ხელფასის, სხვა გადასახდელებისა და შეღავათების შენარჩუნება სასამართლოში მის მიერ მოვალეობის შესრულებისას

მსაჯულს სასამართლოში მოვალეობის შესრულებისას მუდმივ სამუშაო ადგილზე ენახება საშუალო ხელფასი.

სხვა გადასახდელებისა და შეღავათების მიმართ მსაჯულის მიერ სასამართლოში მოვალეობის შესრულების დრო გათანაბრებულია ძირითადი სამუშაოს შესრულების დროსთან.

სასამართლოში მსაჯულის მიერ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესს და ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 22. სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოები. მოსამართლისა და მსაჯულის მოწმობები

სასამართლოებში სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოებს, მოსამართლისა და მსაჯულის მოწმობათა ნიმუშებს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო და საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

I. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში:

1) კოდექსის დასახელებასა და ტექსტში სიტყვები: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, „საქართველოს სს რესპუბლიკა“, „საქართველოს სსრ“, „სახალხო სასამართლო“, „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო“, სახალხო მოსამართლე“, „სახალხო მსაჯული“, „რაიონული (საქალაქო)“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკა“, „სასამართლო“, „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო“, „მოსამართლე“, „მსაჯული“, „რაიონის (ქალაქის)“.

2) პირველი მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესი საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით;

3) მე-2 მუხლში:

პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საბჭოთა“;

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სისხლის სამართლის სამართალწარმოებამ ხელი უნდა შეუწყოს კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, დანაშაულის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, მოქალაქის აღზრდას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების განუხრელად დაცვის სულისკვეთებით“;

4) 6^1 მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სსრ კავშირისა და...“

5) მე-9 მუხლის მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“;

6) მე-12 და მე-13 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. მართლმსაჯულების განხორციელება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე

მართლმსაჯულება სისხლის სამართლის საქმეებზე ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე წარმოშობის, სოციალური, თანამდებობრივი და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, პარტიულობის, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილის და სხვა გარემოებათა მიუხედავად.

მუხლი 13. საქმეთა განხილვის კოლეგიურობა

სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავენ მოსამართლეები, რომლებიც დანიშნული ან არჩეული არიან, და მსაჯულები, რომლებიც არჩეული არიან კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად საქმეები იმ დანაშაულობათა გამო, რომელთა ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა, განიხილება მოსამართლისა და ექვსამდე მსაჯულის შემადგენლობით.

დანაშაულობათა საქმეების განხილვისას, რომელთა ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, მსაჯულთა რაოდენობის საკითხს გადაწყვეტს სასამართლო სამართალში მიცემის სტადიაში.

პირველი ინსტანციის ყველა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეები განიხილება მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით.

მსაჯულები სარგებლობენ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის თანაბარი უფლებით ყველა იმ საკითხის გადაჭრაში, რომლებიც წამოიჭრება საქმის განხილვისა და განაჩენის დადგენის დროს.

საკასაციო და საზედამხედველო წესით საქმეები განიხილება არანაკლებ სამი მოსამართლის შემადგენლობით“;

7) მე-14 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სოციალისტური მართლშეგნების შესაბამისად“;

8) მე-15 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკაში სისხლის სამართლის საქმეებზე სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე“;

9) მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დაცვის უფლების უზრუნველყოფა

ეჭვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს აქვთ დაცვის უფლება.

მომკვლევი პირი, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო მოვალე არიან უზრუნველყონ ეჭვმიტანილისათვის, ბრალდებულისა და განსასჯელისათვის კანონით დადგენილი საშუალებებითა და ხერხებით დაცვის შესაძლებლობა, აგრეთვე, მათი პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა“;

10) მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19. ზემდგომი სასამართლოების ზედამხედველობა სასამართლო საქმიანობისადმი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო ზედამხედველობას უწევს საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს სასამართლო საქმიანობას, ხოლო აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო — შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის და ქალაქ თბილისის სასამართლოების სასამართლო საქმიანობას“;

11) მე-20 მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები“;

მესამე ნაწილში სიტყვები: „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“;

12) 25-ე მუხლში:

პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1) „სასამართლო“ — გულისხმობს რაიონის (ქალაქის) სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს“.

მე-5 პუნქტში ამოღებულ იქნეს სიტყვები „ავტონომიური ოლქის“ „სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს“, „ოლქის“, ხოლო სიტყვები „საქართველოს სსრ პროკურორს“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს“;

13) 32-ე მუხლის სათაურში, ტექსტსა და შენიშვნაში სიტყვები „და ავტონომიური ოლქის სასამართლოს“ ამოღებულ იქნეს.

14) 33-ე მუხლის ტექსტში სიტყვები „ქალაქ თბილისსა და ავტონომიურ ოლქში“ შეიცვალოს სიტყვებით „და ქალაქ თბილისის შემადგენლობაში“;

15) 37-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ავტონომიური ოლქის“, „ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე“;

16) 43-ე მუხლის პირველი, მეხუთე და მეექვსე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადვოკატი დაიშვება საქმეში მონაწილეობისათვის ბრალდების წარდგენის მომენტიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს დააკავებენ ან მის მიმართ გამოიყენებენ აღკვეთის ღონისძიებას, — ბრალდების წარდგენამდე დაპატიმრების სახით მისთვის დაკავების ოქმის ან ამ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ დადგენილების გამოცხადების მომენტიდან. თუ ამ ვადაში ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიერ არჩეული ადვოკატის გამოცხადება შეუძლებელია, მომკვლევ პირს, გამომძიებელს და პროკურორს უფლება აქვთ შესთავაზონ ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს სხვა ადვოკატის მოწვევა ან უზრუნველყოფენ მას ადვოკატით იურიდიული კონსულტაციის მეშვეობით.

იურიდიული კონსულტაციის გამგე ან ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი ვალდებული არიან გამოყონ ადვოკატი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის დასაცავად. იურიდიული კონსულტაციის გამგეს ან ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს, აგრეთვე მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანოს, პროკურორს, სასამართლოს, რომელთა წარმოებაშიც არის საქმე, უფლება აქვთ გაათავისუფლონ ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი მთლიანად ან ნაწილობრივ იურიდიული დახმარების საზღაურის გადახდისაგან.

იურიდიული კონსულტაციის გამგის ან ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ საზღაურის გადახდისაგან გათავისუფლების შემთხვევაში ადვოკატის შრომის ანაზღაურება ხდება ადვოკატთა კოლეგიის სახსრების, სხვა შემთხვევებში — სახელმწიფოს ხარჯზე. ადვოკატთა შრომის ანაზღაურების ხარჯები საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით ანაზღაურდება ბიუჯეტის ხარჯზე იმ შემთხვევაში, როცა ადვოკატი მონაწილეობდა მოკვლევაში, წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში — დანიშვნის შედეგად. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოსათვის ხარჯების ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს მსჯავრდებულს. ადვოკატის შრომის სახელმწიფოს ხარჯზე ანაზღაურებისას მომკვლევს, გამომძიებელს, პროკურორს გამოაქვთ დადგენილება ან სასამართლოს განჩინება, რომელიც ერთდროულად ეგზავნება მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ადგილსამყოფლის მიხედვით იურიდიულ კონსულტაციას ცნობისათვის და საფინანსო ორგანოს შესასრულებლად“;

მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „აგრეთვე სხვა პირები“.

17) 44-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 44. დამცველის სავალდებულო მონაწილეობა სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში

დამცველის მონაწილეობა მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო გარჩევის დროს სავალდებულოა არასრულწლოვანთა, ყრუ-მუნჯთა, უსინათლოთა და სხვა ისეთ პირთა საქმეებზე, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ ძალუძთ თავად განახორციელონ თავიანთი დაცვის უფლება, აგრეთვე ისეთ პირთა საქმეების გამო, რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოებაში ხმარებულ ენას. ასეთ შემთხვევაში დამცველი დაიშვება საქმეში მონაწილეობისათვის ამ კოდექსის 43-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული მომენტიდან.

ისეთ დანაშაულობათა ჩადენაში ბრალდებულ პირთა საქმეების გამო, რომლებისთვისაც დასჯის ღონისძიებად შეიძლება სიკვდილით დასჯა დაინიშნოს, დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა ბრალდების წარდგენის მომენტიდან.

სასამართლო განხილვის დროს დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა ისეთ საქმეებზე, რომლებშიც მონაწილეობს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ბრალმდებელი, აგრეთვე განსასჯელთა ინტერესებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას თუ ერთ მათგანს მაინც ჰყავს დამცველი.

თუ ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში თვით ბრალდებულს, განსასჯელს ან მათი დავალებით სხვა პირებს დამცველი არ მოუწვევიათ, სასამართლო ან შესაბამისად პროკურორი, გამომძიებელი და მომკვლევი ვალდებული არიან უზრუნველყონ დამცველის მონაწილეობა საქმეში“.

18) 52^1 მუხლში, 63-ე მუხლის პირველ ნაწილში, 117-ე მუხლის მესამე პუნქტში, 376-ე მუხლის პირველ ნაწილში და 385-ე მუხლებში ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის და“, „და სოციალისტური მართლშეგნებით“, „სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებისა და“, „სსრ კავშირის და“, „და ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმი“, „და ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს“, „ან ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის“, „ან ავტონომიური ოლქის სასამართლოში“, „და ავტონომიური ოლქის“, „და ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს“; ,

19) 88-ე, 89-ე, 130-ე და 134-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“, „ავტონომიური ოლქის პროკურორმა“, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორმა“, ხოლო სიტყვები „საქართველოს სსრ პროკურორის“, „საქართველოს სსრ პროკურორმა“, შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის“ და „საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა“;

20) 114-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“;

21) 119-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მეორე პუნქტი, მესამე პუნქტი ჩაითვალოს მეორე პუნქტად.

22) 142-ე მუხლის მეოთხე ნაწილში, 153-ე მუხლის პირველ, 168-ე მუხლის პირველ ნაწილში; 174-ე მუხლის მეხუთე ნაწილსა და 177-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს“ შეიცვალოს სიტყვებით „მმართველობის ადგილობრივ ორგანოს“;

23) 202-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვის „მონაწილეობს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „დაკავების ან“;

24) 241-ე მუხლში სიტყვების „კანონით დადგენილი წესით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „დანიშნული ან“;

25) 374^2, 374^3, 375-ე და 376-ე და 388-ე მუხლებში სიტყვები „სახალხო დეპუტატების რაიონული(საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან“ შეიცვალოს სიტყვებით „მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან“.

26) 382-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს და მათ მოადგილეებს უფლება აქვთ შეიტანონ პროტესტი რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე. გარდა ამისა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს უფლება აქვთ შეიტანონ პროტესტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე“.

ამავე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“, ხოლო მეოთხე ნაწილში სიტყვები „ასსრ უმაღლესი“, „ასსრ პროკურორს“ შეიცვალოს სიტყვებით „ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი“, „ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს“; სიტყვები „ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს“, „და ავტონომიური ოლქის სასამართლოს“, ავტონომიური ოლქის პროკურორს“. ამოღებულ იქნეს; ,

27) 384-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მათ მოადგილეებს ზედამხედველობის წესით საქმის გადაწყვეტამდე უფლება აქვთ შეაჩერონ საქართველოს რესპუბლიკის ნებისმიერი სასამართლოს გაპროტესტებული განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება“, გარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებისა“;

28) 388-ე და 397-ე მუხლებში სიტყვები „საქართველოს სსრ პროკურორის“, „რესპუბლიკის პროკურორი“, „საქართველოს სსრ პროკურორი“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „რესპუბლიკის გენერალური პროკურორის“, „რესპუბლიკის გენერალური პროკურორი“, „საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი“ სიტყვები „ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის“, „ავტონომიური ოლქის პროკურორი“, „ავტონომიური ოლქის“ ამოღებულ იქნეს.

2. საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში:

1) კოდექსის დასახელებასა და ტექსტში სიტყვები „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, „საქართველოს სს რესპუბლიკა“, „საქართველოს სსრ“, „უმაღლესი სასამართლო“, „სახალხო სასამართლო“, „სახალხო მოსამართლე“, „სახალხო მსაჯული“, „რაიონული (საქალაქო)“ შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს რესპუბლიკა“, „უზენაესი სასამართლო“, „სასამართლო“, „მოსამართლე“, „მსაჯული“, „რაიონის (ქალაქის“);

2) პირველი მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამოქალაქო საქმეების წარმოების წესი საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოში განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით;“

მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“...

3) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანაა მოქალაქეთა კანონით დაცული ინტერესების, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებათა და კანონით დაცული ინტერესების დაცვის მიზნით სამოქალაქო საქმეების სწორი და სწრაფი განხილვა და გადაწყვეტა“;

4) მე-5 მუხლში სიტყვის „სოციალური“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „თანამდებობრივი“, ხოლო სიტყვის „კუთვნილების“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „პარტიულობის“;

5) მე-6 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოში სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ კანონით დადგენილი წესით არჩეული (დანიშნული) მოსამართლეები და არჩეული მსაჯულები“;

6) მე-8 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სოციალისტური მართლშეგნების შესაბამისად“;

7) მე-9 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე“;

8) მე-12 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასამართლო ვალდებულია საქმეები გადაწყვიტოს საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების კანონების, სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე. სასამართლო იყენებს აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის სხვა ორგანოების მიერ მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში გამოცემულ აქტებს“;

9) მე-13 მუხლში:

პირველი ნაწილი ამოღებულ იქნეს;

ამ მუხლის მეორე ნაწილი შესაბამისად ჩაითვალოს პირველ ნაწილად, მესამე ნაწილი — მეორე ნაწილად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო ზედამხედველობას ახორციელებენ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქალაქ თბილისის რაიონების სასამართლოების სასამართლო საქმიანობაზე“;

10) მე-14 მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამოქალაქო სამართალწარმოებაში კანონების ზუსტად და ერთგვაროვნად შესრულებისადმი ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები“;

მესამე ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“.

11) 28-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებიდან, 122-ე მუხლის მეორე ნაწილიდან, 129-ე მუხლიდან, 298-ე მუხლის პირველი ნაწილიდან და 341-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და ავტონომიური ოლქის სასამართლოში“, „და ავტონომიური ოლქის სასამართლოს“, „და ავტონომიური ოლქის“, „ან ავტონომიური ოლქის სასამართლოსათვის“, „ავტონომიური ოლქის“, „და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე“, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლომ“, „ავტონომიური ოლქის სასამართლოს“, „ავტონომიური ოლქის პროკურორი“;

12) 47-ე მუხლის მეორე ნაწილში, 117-ე მუხლის მე-2 ნაწილში, 118-ე მუხლში, 120-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატების სადაბო ან სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების“ და „ან სახალხო დეპუტატების სადაბო ან სასოფლო საბჭოს“ შეიცვალოს სიტყვებით „მმართველობის ადგილობრივი ორგანოების“ და „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების“;

13) 248-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განცხადებას მოქალაქეებისათვის გადასახადების, სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის და სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის ნარჩენების გადახდევინების შესახებ შეიტანს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საფინანსო განყოფილება ან სახელმწიფო დაზღვევის ორგანო სასამართლოში მენარჩენის საცხოვრებელი ადგილის ან მისი ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით“;

14) 252-ე მუხლში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „მოქმედი“.

15) 294-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ავტონომიური რესპუბლიკებისა და თბილისის რაიონის სასამართლოების გადაწყვეტილებანი, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არიან შესული, შეიძლება გასაჩივრდეს ან გაპროტესტდეს შესაბამისი ავტონომიური რესუბლიკების უზენაესი სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიაში, ხოლო გადაწყვეტილებები, გამოტანილი რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მიერ, რომლებიც ტერიტორიულად არ შედიან ავტონომიურ რესპუბლიკაში და ქ. თბილისში, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების და თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც არ არიან კანონიერ ძალაში შესული, — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიაში“;

16) 331-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების გარდა, შეიძლება გადაისინჯოს სასამართლო ზედამხედველობის წესით ამ კოდექსის 332-ე მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა პროტესტების საფუძველზე“;

17) 332-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პროტესტის შეტანის უფლება აქვთ:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორსა და მათ მოადგილეებს — რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე. გარდა ამისა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს უფლება აქვთ შეიტანონ პროტესტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე;

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს, თბილისის ქალაქის პროკურორს — რაიონის (ქალაქის) სასამართლოს გადაწყვეტილებასა და განჩინებაზე და შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაზე, თუ ისინი განიხილავენ საქმეს საკასაციო წესით“;

18) 335-ე მუხლში:

პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმი“.

მეორე და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ პირველი ინსტანციის ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მონაწილეობას იღებდა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ან თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა, შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს სხვა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში საქმის გაგზავნის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია განიხილავს პროტესტებს ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს, აგრეთვე იმ რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მიერ გამოტანილ, კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის შემადგენლობაში არ შედიან, თუ ეს გადაწყვეტილებანი და განჩინებანი არ ყოფილა საკასაციო განხილვის საგანი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში, აგრეთვე პროტესტებს ყველა ზემოაღნიშნული სასამართლოს მოსამართლეების დადგენილებებზე“.

მე-4 ნაწილში სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე შეიცვალოს სიტყვებით „და თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე“;

19) 352-ე მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტებში და 353-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებში სიტყვები: „სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილება შეიცვალოს სიტყვებით: „მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილება“.

II. ეს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.

საზღვარგარეთ

ვისი მეგობრები არიან ისინი?

შარშან 17 დეკემბერს ამერიკულმა ჟურნალმა „ტაიმმა" გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის იაზოვისა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის კრიუჩკოვის ფოტოსურათები, რომლებსაც თან ახლდა სტატია სათაურით „მისი საუკეთესო მეგობრები" — ჟურნალისტი, რა თქმა უნდა, პრეზიდენტ მ. გორბაჩოვს გულისხმობდა. იმხანად ამგვარი შეფასება საქმეში ჩაუხედავი კაცისთვის იქნებ ერთობ უცნაურადაც ჟღერდა, მით უმეტეს, რომ მეხსიერებაში ჯერ კიდევ არ წაშლილიყო ნობელის პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი, მაგრამ ე. შევარდნაძის გამოსვლამ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ყველას თავისი ადგილი მიუჩინა. „ტაიმის" წინასწარმეტყველება თუ ვითარების საფუძვლიან ცოდნაზე დამყარებული პროგნოზი გამართლდა. დღეს ეს სამეული მართლაც ერთ გზას ადგას, გზას, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ წარსულში მივყავართ. მათი მეგობრობა დღეს რამდენადმე უხერხულ მდგომარეობაში აგდებს ნობელის პრემიების მიმნიჭებელ კომიტეტს, რომელსაც „ტაიმისათვის" დამახასიათებელი ოდნავი გამჭრიახობა რომ გამოეჩინა... თუმცა ახლა ესეც უკვე წარსულია, მომავალი კი, იმედია, ყველას დამსახურებისამებრ მიაგებს.

გორბუნოვი:
ოპოზიციას არგუმენტები არა აქვს

მთავრობის წინააღმდეგ ოპოზიციას კონკრეტული არგუმენტები არა აქვს, — ასე განაცხადა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ანატოლი გორბუნოვმა, როცა შეეხო სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფასების მომატების გამო პროტესტებთან დაკავშირებულ მოვლენებს საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოპოზიციას შეუძლია წამოაყენოს მოთხოვნები, მაგრამ მათ სერიოზული საფუძვლები უნდა ჰქონდეთ. არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მთელ ქვეყანაში წარმოქმნილ სიტუაციაში არ ჩანს კრიზისიდან გამოსვლის სხვა ალტერნატივა. საქმე ის არის, თუ როგორ მოვახდინოთ ამ მომატების კომპენსაცია ხელმოკლე ადამიანებისათვის. აქ მთავრობას შეცდომა მოუვიდა და იგი უნდა გამოვასწოროთ.

შეეხო რა რესპუბლიკაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას, ა. გორბუნოვმა განაცხადა, რომ არის ყველა საფუძველი ლატვიამ განაგრძოს გზა დამოუკიდებლობისაკენ იმ ფორმულირებითაც კი, რომელსაც გორბაჩოვი გვთავაზობს. მას მომავალი კავშირი ესახება. როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი, მაგრამ, სამწუხაროდ, პროგრამა არა აქვს. სიტყვით იგი სუვერენიტეტს უჭერს მხარს, საქმით კი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა დაუბრუნდეს უნიტარულ სახელმწიფოს. და ეს არის დაძაბულობის ძირითადი მიზეზი.

შეაფასა რა მიხეილ გორბაჩოვის მიმართვა ლიტვის პარლამენტისადმი, ანატოლი გორბუნოვმა აღნიშნა, რომ მასში მოყვანილი მოთხოვნები ერთხელ კიდევ ადასტურებენ უნიტარულ სახელმწიფოზე გორბაჩოვის ორიენტაციას.

პრესკონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობდა აგრეთვე უზენაეს საბჭოში ლატვიის სახალხო ფრონტის ფრაქციის თავმჯდომარე იანის დინევიჩი, აღიძრა სხვა აქტუალური საკითხები, კერძოდ, შეიარაღებულ ძალებთან ურთიერთობის, არმიაში გაწვევისა და ალტერნატიული სამსახურის საკითხები. პრესკონფერენციაზე ორივემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეუძლებელია მობილიზაცია ძალადური გზით. აქ არის ერთადერთი უბრალო გამოსავალი — სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ ცნოს ლატვიის რესპუბლიკის კანონი ალტერნატიული სამსახურის შესახებ.

ბალტია-ლეტა-საქინფორმი

ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს

რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაცია და ბოლო დღეებში მისი მკვეთრი გამწვავება მაიძულებს მე, როგორც სსრ კავშირის პრეზიდენტს მივმართო უშუალოდ ლიტვის სსრ უზენაეს საბჭოს.

სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და დავინახოთ შექმნილი მდგომარეობის ჭეშმარიტი მიზეზები: ღრმა დარღვევები და სსრ კავშირის კონსტიტუციიდან და ლიტვის სს რესპუბლიკის კონსტიტუციიდან გადახვევა, მოქალაქეთა პოლიტიკური და სოციალური უფლებების გათელვა, მისწრაფება, დემოკრატიის ლოზუნგებით განხორციელდეს ბურჟუაზიული წყობილებისა და ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო წესების აღდგენისათვის გამიზნული პოლიტიკა. ამისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს და იმათ, ვინც დაადგა კონსტიტუციური კანონების, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობების, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და მიმართვების უგულებელყოფის გზას.

სიტუაცია არსებითად ჩიხში ექცევა. შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის აუცილებლობა გვიკარნახებს განვახორციელოთ დაუყოვნებელი ღონისძიებანი. ხელისუფლების საკავშირო ორგანოებში რესპუბლიკიდან მოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების, საწარმოო კოლექტივების, ყველა ეროვნების მოქალაქის მრავალი წერილი. ადამიანები მოითხოვენ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას, უშიშროებასა და ცხოვრების ნორმალური პირობების საიმედო გარანტიებს. ახლანდელი ხელმძღვანელობის პოლიტიკით იმედგაცრუებულნი. მოითხოვენ პრეზიდენტის მმართველობის შემოღებას. რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წინადადებას ვაძლევ დაუყოვნებლივ აღადგინოს სრული მოცულობით სსრ კავშირის კონსტიტუციისა და ლიტვის სს რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედება, გააუქმოს ადრე მიღებული კონსტიტუციური აქტები.

ლიტვის სს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს უნდა ესმოდეს მთელი თავისი პასუხისმგებლობა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხების წინაშე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი

მ. ს. გორბაჩოვი

1991 წლის 10 იანვარი

„ამერიკის ხმა",
11 იანვარი

ლიტვამ უარყო გორბაჩოვის მოთხოვნა, რომ ეს რესპუბლიკა დაემორჩილოს სსრკ კანონს, თორემ მას ემუქრება მოსკოვიდან უშუალო მმართველობა. ლიტვის პრეზიდენტმა ლანდსბერგისმა ეს გაფრთხილება დაახასიათა როგორც ახალი და საშიში ნაბიჯი დიქტატურისაკენ. მან განაცხადა, რომ ლიტვაში მხოლოდ ლიტვის კანონები მოქმედებს. ამ რესპუბლიკის კანონმდებლებმა 40 წლის ეკონომისტი ალბერტას შიმენასი აირჩიეს პრემიერ-მინისტრად პრუნსკენეს მაგივრად, რომელიც სამშაბათს გადადგა თავისი პოსტიდან.

საკუთარ სახლში

გაძარცვეს მუზეუმი

რამდენიმე დღის წინ, უცნობმა პირებმა შეაღწიეს აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში და გაძარცვეს. გაძარცულია ორი დარბაზი — ეთნოგრაფიისა და საბჭოთა პერიოდის ისტორიისა.

პირველი დარბაზიდან წაღებულია ძველებური, უნიკალური ჭედური ნამუშევრები, უმთავრესად ვერცხლის ნივთები — ქამრები, ქალის სამკაულები, ხანჯლები ვერცხლით ინკუსტრირებული ტარებით. მეორე დარბაზიდან კი პლატინის, მოოქროვილი სამი ორდენი და ერთი უნიკალური საათი, რომელიც გაუმართავი იყო.

— ჩვენს მუზეუმში, — თქვა დირექტორმა ა. თორიამ—მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა. ჭედური ხელოვნების ის უძველესი ნიმუშები, რაც მუზეუმიდან გაქრა, ძნელი სათქმელია, რომელ პერიოდს ეკუთვნოდა და რომელი ოსტატების მიერ იყო შესრულებული. გამოცხადებულია საკავშირო ძებნა. რაიმე ხელმოსაკიდი კვალი ჯერჯერობით მიუგნებელია. სამწუხაროდ, ამასწინათ გაძარცვეს გალის მუზეუმიც. ამ დანაშაულში ეჭვმიტანილები უკვე დააკავეს.

იოსებ გოგიჩია,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორესპონდენტი.

ალაზნისპირა ჭალები შველას ითხოვს

ლაგოდეხის რაიონის ალაზნისპირა ჭალები, ტყე და მდინარე ბრაკონიერებისაგან ნაკლებად არის დაცული და დღეს თითქმის გადაშენების პირამდეა მისული ნადირფრინველით ერთ დროს მდიდარი გარემო.

ახლახან ახლა შექმნილმა მონადირეთა და მეთევზეთა კლუბმა „ქიაურმა" ითავა მისი ფლორისა და ფაუნის დაცვა. მან იკისრა 7.642 ჰექტარი ფართობის მოვლა-პატრონობა. კლუბის ნებართვის გარეშე ყველა მოქალაქეს ეკრძალება თევზის ჭერა, ხის მოჭრა და ნადირობა. კლუბის მიზანია აღსდგეს ერთ დროს ნადირ-ფრინველით განთქმული ალაზნის ჭალები.

ვახტანგ გოზალიშვილი.
„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორესპონდენტი.

თანადგომა

ეროვნულ მილიციას სამართლებრივი დაცვა და მოსახლეობის მხარდაჭერა სჭირდება

ქართული მილიცია, როგორც თავისი ერის შემადგენელი ნაწილი, ბოლო ხანებში მხარში ედგა ეროვნულ მოძრაობას და სხვანაირად არც შეეძლო მოქცეულიყო. მხარში დგომამ მოითხოვა განსაზღვრული დათმობები მილიციის მხრიდან, რაც მილიციამ ერის ინტერესების სასარგებლოდ კეთილსინდისიერად შეასრულა. დათმობების პერიოდი დამთავრდა მრავალპარტიული არჩევნებით, ქართველი ერის ნების გამომხატველი პარლამენტის ჩამოყალიბებით, მისი შესაფერისი მთავრობის შექმნითა და საბჭოთა მილიციის ეროვნულ მილიციად გარდაქმნით. ქართულმა მილიციამ ეროვნული საქმისათვის თავდადება პრაქტიკულად დაამტკიცა და მას უფლება აქვს მოითხოვოს თავისი ერის მხარდაჭერა. მას მხარს უნდა უჭერდეს აგრეთვე, საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობა, რადგანაც მილიცია მისი კანონიერი ინტერესების სადარაჯოზე დგას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ დროულად განაცხადა, რომ ეროვნული მილიციის ხელყოფა ხელისუფლების ხელყოფას უდრის და ამის ჩამდენი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ექსტრემისტს, სეპარატისტს და მათ თანამზრახველებს ჯერ კიდევ შესაძლებლად მიაჩნიათ მილიციაზე თავდასხმა, მისი მძევლად ხელში ჩაგდება და ა. შ. მილიციასთან, ე. ი. ხელისუფლების ადმინისტრაციულ ორგანოსთან ბრძოლა და მითუმეტეს მაშინ, როდესაც ის ხელისუფლების ორგანოს დავალებას ასრულებს, ეროვნულ ინტერესებს იცავს, სხვა ერის ინტერესების შეულახავად, მოუთმენელია. არც ის არის საეჭვო, რომ მილიციის კანონიერ მოთხოვნასთან ბრძოლა კანონთან და ხელისუფლებასთან ბრძოლაა, ხოლო ხელისუფლებასთან ბრძოლა იმ ხალხთან ბრძოლაა, რომელთა ნების გამომხატველიც ეს ხელისუფლებაა. ამიტომ, მილიციის დაცვის გაძლიერება აუცილებელია ქართველებისა და საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელთა ინტერესებისათვის. ექსტრემისტთა და სეპარატისტთა გამოკლებით, რომლებსაც, იმედი გვაქვს დროებით, მხარი დაუჭირა შეცდომაში შესულმა ზოგიერთი ეროვნების მცირე ნაწილმა. მათ უნდა შეიგნონ, რომ მათ ინტერესში შედის ჩვენ დაგვიჭირონ მხარი და არა თავიანთ სეპარატისტებს, რომლებიც დაღუპვისაკენ უბიძგებენ მათ. გარდა ამისა, როცა ოსი ხალხი გაიგებს თუ რა უჯდებოდა მას საოლქო აპარატის შენახვა, რომლისგან არაფერს არ ღებულობდა, ის ამ აპარატის გაუქმებაზე თანახმა იქნება. საერთოდ ეროვნულ უთანხმოებასთან დაკავშირებული ურთიერთობის ცალკეული ასპექტების მოწესრიგება შეიძლება მმართველი აპარატის შესანახი თანხის რაციონალურად განაწილებით, რაც მოსპობს პრივილეგიებით სარგებლობის საშუალებებს და თავის კალაპოტში ჩააყენებს საზოგადოებრივ ურთიერთობას რესპუბლიკაში. მაგრამ ეს უფრო მომავლის საქმეა. დღეს კი აქ საუბარია მილიციის დაცვის გაძლიერებაზე, მისი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაზე, ამით საზოგადოებრივი ურთიერთობის უკეთ მოწესრიგებაზე და ცხოვრების პირობების ნორმალიზაციაზე.

ამ საკითხის მოსაგვარებლად დღეისათვის საუკეთესო ვარიანტს, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 209' მუხლში დამატებების შეტანა. ჩვენი აზრით ამ მუხლის დასახელებაში „საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა" სიტყვა „სიცოცხლის" შემდეგ უნდა დაემატოს სიტყვები: „ან თავისუფლების", ხოლო დისპოზიციის ბოლოს სიტყვების: „მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით" შემდეგ დაემატოს სიტყვები: „ან ქმედობა, მიმართული მილიციის მუშაკის შეურაცხყოფის ან მძევლად ხელში ჩაგდებისაკენ მიუხედავად მოტივისა". ამ დამატებების შემდეგ მუხლის დასახელებამ და მისმა დისპოზიციამ უნდა მიიღოს შემდეგი სახე: „მუხლი 209' საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის ფიზიკური შეურაცხყოფა, სიცოცხლის ან თავისუფლების ხელყოფა.

მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის შეურაცხყოფა, სიცოცხლის ხელყოფა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ან ქმედობა მიმართული მილიციის მუშაკის მძევლად ხელში ჩაგდებისაკენ მიუხედავად მოტივისა".

სასჯელი შეიძლება დარჩეს იგივე, რაც გათვალისწინებულია ამ მუხლით: თავისუფლების აღკვეთა ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ხოლო დამამძიმებელ გარემოებებში სიკვდილით დასჯა.

ამ შემთხვევაში დამამძიმებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს არა მარტო მილიციის მუშაკის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე მიყენებული ფიზიკური ხასიათის ვნება, არამედ უარყოფითი ფსიქიკური ზემოქმედებაც, რაც შეიძლება გამოიხატოს იარაღის წართმევაში, პიროვნების შეურაცხყოფაში, ძალის გამოყენებაში ან, მის მცდელობაში, მუქარაში და ა. შ.

შესაბამისი ცვლილებები და დამატებები უნდა იქნეს შეტანილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 206³, 207, 207', 208, 208' და 209 მუხლებშიც და გამკაცრდეს ამ მუხლებით გათვალისწინებული სასჯელის ზომები.

რაც შეეხება შემოთავაზებულ რეკომენდაციას სისხლის სამართლის კოდექსის 209' მუხლში დამატებათა შეტანის შესახებ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნულმა დამატებებმა საკმაოდ უნდა აამაღლოს მილიციის მუშაობის ეფექტიანობა და შესაბამისად უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცება რესპუბლიკაში დანაშაულის წარმოქმნის მიზეზებისა და მასთან მებრძოლი ძალების შესაძლებლობებზე ძალიან დიდი და მრავალმხრივი თემაა, რომელზეც ამ სტატიაში ამომწურავი პასუხის გაცემა ძნელია. ამას დამოუკიდებელი მსჯელობა სჭირდება. აქ შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ გადაწყვეტილება, რომელზეც ლაპარაკია უნდა იყოს კანონიერი, მიმართული სამართალდარღვევის, განსაკუთრებით კი დანაშაულის წარმოქმნის პროცესშივე მოსპობისაკენ. ამ პრინციპიდან გამომდინარეობს ჩვენი რეკომენდაციაც სსკ 209' მუხლში დამატებათა შეტანის შესახებ. კანონის შემოთავაზებული კონსტრუქცია აღკვეთილ დანაშაულთა კატეგორიას აკუთვნებს მილიციის მუშაკის მძევლად ხელში ჩაგდებას და სჯის დამნაშავეს მიუხედავად შედეგისა, ე. ი. შემოთავაზებული კანონის მიხედვით დანაშაული დამთავრებულად ითვლება მილიციის მუშაკის მძევლად აყვანისათვის რაიმე მოქმედების შესრულებისთანავე მიუხედავად იმისა, მიღწეულია თუ არა ეს მიზანი.

ასეთი კანონი ხელს შეუწყობს პირველ რიგში რესპუბლიკაში კანონიერებისა და მილიციის ავტორიტეტის აღდგენას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დამნაშავეობასთან ბრძოლაში ეფექტიანობის ამაღლებას, ნორმალური საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცებას.

რაც შეეხება საკითხს, შემოთავაზებული დამატების სსკ 209' მუხლში შეტანამდე და მისი ძალაში შესვლამდე, არსებობს თუ არა კანონი, რომელიც იცავს მილიციის მუშაკებს მძევლად აყვანისაგან; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელს ვინმეს თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისათვის. სიტყვა „ვინმეში" შედიან მილიციის მუშაკებიც და ამიტომ დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს ამ მუხლით. ამ მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან ათ წლამდე. ჯერჯერობით, სანამ კანონი გაძლიერებულ სასჯელს არ დააწესებს, შეიძლება აღნიშნული მუხლის გამოყენება.

თუ მილიციის მუშაკებზე თავდასხმას ექნა ადგილი იარაღის ან სხვა ფასეულობის დაუფლების მიზნით, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის საკითხი დადგება ყაჩაღობისათვის საქართველოს სსკ 96-ე ან 152-ე მუხლით. ასე, რომ კანონი არის, მისი გაუმჯობესებისა და გაძლიერების საჭიროება სახეზეა და დადგა დრო, მაქსიმალურად გამოვიყენოთ და განვავითაროთ ჩვენი კანონები. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მილიციას იარაღის გამოყენების უფლება აქვს, ამ უფლებას ის დროებით არ იყენებდა. ეხლა კი დრო არის, რომ მან კანონიერად საჭიროებისამებრ გამოიყენოს ყველა ის საშუალება, რომელიც მას გააჩნია. ამას მოითხოვს მილიციისაგან მოქმედი კანონი და საქართველოს პატიოსანი, მშრომელი საზოგადოების ინტერესები. დანგრევა და განადგურება რისიც არ უნდა იყოს ადვილია. საქმეა აშენება, მოპოვება, დაცვა. ამას კი კანონითა და სხვა საშუალებებით შეიარაღებული რაზმი სჭირდება.

ა. კვაშილავა,
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსის მოადგილე, იურიდიული მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მილიციის პოლკოვნიკი.

სანთელი

მთავარია სიმხნევე

ქველმოქმედება ქართველი კაცისთვის ღვიძლი სულიერი საქმეა, ეხმარებიან ინვალიდებსა და დავრდომილებს, მრავალშვილიანებსა და ნაკლებ შეძლების მქონეთ, სტიქიით დაზარალებულებსა და სიმართლისათვის დევნილთ. ქველმოქმედებენ ცალკეული პირები თუ ორგანიზაციები, კოოპერატორები და ასოციაციები, რომელთაც მოყვასისადმი ხელის გამართვა უაღრესად საჭირო საქმედ მიაჩნიათ.

ერთის მხრივ, შეიძლება გული სიამაყითაც კი გაგვევსოს, როდესაც დაინახავ შენს ერში გულის სითბოსა და კეთილმოსურნეობის გრძნობას, მაგრამ თუკი საქმის არსს უფრო ღრმად ჩავხედავთ, სიამაყის გრძნობა შეიძლება ნაღველმა და წუხილმა შეცვალოს.

რატომ?

იმიტომ, რომ სადაც ამდენი ქველმოქმედებაა საჭირო, რაღა თქმა უნდა, იქ ყველაფერი რიგზე არ არის. საქართველოში ეს შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. უჭირთ ქალაქშიც და სოფელშიც, მრავალშვილიანებსაც და უშვილძიროთაც, მიწისმოქმედსაც და ქარხნის მუშას, და რაც მთავარია, უჭირთ, ძალზედ უჭირთ, სტიქიით დაზარალებული რაიონებიდან გადმოსულებს. მათ გადმოსახლებას დიდი ენთუზიაზმით შევხვდით, მაგრამ როგორც ბევრს სხვა საქმეში, აქაც საშინლად ავჩქარდით და როდესაც უკვე ფაქტის წინაშე დავდექით, მხოლოდ მაშინღა მივხვდით, რომ ძალზედ მოუმზადებლები ვართ. მოუწესრიგებელია საცხოვრებელი ბინები, რაც განსაკუთრებით ზამთარში იგრძნობა. არ მუშაობს გათბობის სისტემა და კანალიზაცია. ამავე დროს ჩამოსულთა უმრავლესობა დაუსაქმებელია. ალბათ, სწორედ ამან გადააწყვეტინა „ფოტოჟურნალისტთა და კინემატოგრაფისტთა ეროვნული ასოციაციის" მესვეურთ მარნეულში ჩამოსახლებული აჭარლებისა და სვანებისადმი დახმარება. ამ ასოციაციას, რომელიც უკვე ერთი წელია ჩამოყალიბდა, სათავეში ჟურნალისტი და კინორეჟისორი თამაზ ბიბილური უდგას. ის და მის გარშემო შემოკრებილი ქართველი ხელოვნების მსახურნი თენგიზ მალანია, გიორგი არეშიძე, ბადრი კოტრიკაძე, გურამ ღვანია, მიზნად ისახავენ ეროვნულ კინო, ფოტო, საგამომცემლო და სარეკლამო საქმიანობას. გარდა ამისა, მათ არსებობის პირველსავე დღიდანვე დაიწყეს ზრუნვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფოტო-მატიანეს შექმნაზე. ამ ზრუნვას უშედეგოდ არ ჩაუვლია, რისი დასტურიც 9 აპრილს რიყეზე გახსნილი ეროვნული მოძრაობის ფოტოგალერეაა, სადაც ასახულია ის რთული გზა, რომელიც ამ ბოლო წლებში გაიარა ჩვენმა პატრიოტულმა მოძრაობამ. გარდა ამისა, ასოციაციის მიზანია საქართველოს მოსახლეობა ფოტო ხელოვნების მსოფლიო შედევრებს აზიაროს. ამისათვის უკვე მოაწყვეს გამოფენა მარნეულში, სადაც ხელოვნების ამ დარგის უნიკალური ნიმუშები ჩაიტანეს — მომსახურება უფასო იყო, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ასოციაციის კეთილშობილურ მიზნებს. ასეთივე გამოფენების მოწყობა ქვემო ქართლის სხვა რაიონებშიც სურთ...

საშობაოდ ასოციაციის წევრები ქაშვეთის ეკლესიასთან შეიკრიბნენ, საიდანაც გაემგზავრნენ მარნეულის რაიონში, შობა-ახალი წელი რომ მიელოცათ სვანეთიდან და აჭარიდან ჩამოსახლებული ქართველი მოსახლეობისათვის. წასვლის წინ, მამა არჩილმა გადაიხადა მაცხოვრის პარაკლისი და ერთხელ კიდევ შეახსენა ქველმოქმედთ, რომ ადამიანი გასაცემს უნდა გაიღებდეს არა საკუთარი სიამოვნებისათვის, არამედ მოყვასისადმი ჭეშმარიტი დახმარების გრძნობით.

შულავერში მეწყერებს გამორიდებული აჭარლების ბევრი ოჯახი სახლობს. „ექსპედიციამ", პირველად სწორედ აქეთ აიღო გეზი ამ მიწაზე ახალმოსახლე ქართველებთან შეხვედრა ერთდროულად სიხარულსაც იწვევს და ნაღველსაც. სიხარულს იმიტომ, რომ კვლავ ისმის ქართველი გოგო-ბიჭების ჟრიამული. იმედისმომცემადაა გამოცხადებული ეს მიდამო, მაგრამ დაინახავთ თუ არა მათ არცთუ სრულყოფილ საცხოვრებელ პირობებს ნაღველიც მოგეძალებათ: ნუთუ ვერ უნდა შევძლოთ მათთვის თუნდაც ელემენტარული პირობების შექმნა? ალბათ, დროთა განმავლობაში ყველაფერი მოწესრიგდება, მაგრამ მხოლოდ იმედით როგორ ვასაზრდოოთ აჭაურები. მასპინძლები სიხარულს ვერ ფარავდნენ. იმავე წამს ნათელი გახდა, რომ ეს სიხარული მხოლოდ და მხოლოდ იმ გრძნობით იყო ნასაზრდოები, რომელიც მაშინ გვეუფლება, როდესაც დავინახავთ, რომ ჩვენიანებს ვახსოვართ, გვერდში გვიდგანან, გაჭირვებაში არ მიგვატოვებენ. ამას უფროსთა სამადლობელი სიტყვები და ბავშვების გაცისკროვნებული თვალები გამოხატავდა, თვალები, გაცილებით მეტყველი, ვიდრე სიტყვა...

სტუმრებს თან რაიონის ახალი ხელმძღვანელობა ახლდა, რომელთაც კიდევ ერთხელ მიეცათ აჭარელთა პრობლემების ახლო გაცნობის საშუალება. იმედია ეს სტუმრობა უკვალოდ არ ჩაივლის, ახალმოსახლეთა მდგომარეობა ნაწილობრივ მაინც გამოსწორდება.

ასოციაციის პრეზიდენტმა სიტყვით მიმართა მასპინძლებს, გაამხნევა და დაარწმუნა, რომ ყოველთვის შეძლებისდაგვარად მათ გვერდზე იქნებიან. თამაზ ბიბილურმა, თენგიზ მალანიამ, გიორგი არეშიძემ, ბადრი კოტრიკაძემ და გურამ ღვანიამ 500-500 მანეთი გადასცეს მრავალშვილიან ოჯახებს. ქველმოქმედებს დიდი დახმარება აღმოუჩინა საწარმოო გაერთიანება „თბილკონდიტერის" გენერალურმა დირექტორმა ვლადიმერ ცაგარეიშვილმა.

სტუმრები შულავერიდან მარნეულის ცენტრში მოსახლე სვანებს ეწვივნენ. საშობაო მილოცვისას და საჩუქრების გადაცემისას აქაც იგივე სიხარული და სევდა იგრძნობოდა, რაც აჭარლებთან სტუმრობისას დაგვეუფლა. — ილევრებოდა თანადგომით გამოწვეული აღტაცება. ადამიანი საქართველოს კურთხეულ მიწაზე, ასე თუ ისე, მაინც იარსებებს, გამოიკვებება და თავს გაიტანს. მაგრამ მთავარია სულიერი სიმხნევე და სიმტკიცე, ამას კი მხოლოდ და მხოლოდ თანადგომა და მთელი საქართველოდან მოსული მხარდაჭერა ანიჭებს მარნეულელ ქართველობას.

ღმერთმა ქნას, მხარდაჭერა და თანადგომა მალე ღირსებოდეს სრულიად საქართველოს.

გელა ნატროშვილი

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

ტელევიზია

თბილისი

შაბათი, 12 იანვარი

პირველი პროგრამა. 10.05 — ატლეტიზმი. 10.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ფიროსმანი". 11.55 — ქართული სატელევიზიო ფილმი „მღერის „მართვე". 12.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.45 — „სიტყვა საქართველოზე". 13.45 — მოსწავლეთათვის — „ორი ფაზისი". 14.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.15 — „გიწვევთ საკონცერტო დარბაზებში" (ანსამბლ „ივერიის" საახალწლო პროგრამის გამეორება). 15.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.10 — „ბიზნესი" (გამეორება) 17.15 — მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი „მიმი". (დადგმა მ. კუჭუხიძისა. მთავარ როლებში: ო. მეღვინეთუხუცესი, გ. გაბუნია, ქ. კიკნაძე, ნ. ჩიქვინიძე). 19.15 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — განცხადებები. 20.40 — ხალხური შემოქმედება — „ლირიკული კონცერტი" 21.00 — „ვრემია". 21.45 — „საქართველო კულტურის დღეები სტამბოლში". 22.40 — ილუზიონი.

კვირა, 13 იანვარი

პირველი პროგრამა. 10.05 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კუჩხი ბედინერი". 10.35 — კინოაფიშა. 11.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 11.30 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 12.05 — საკვირაო გამოფენა. 12.10 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 12.40 — კინოჟურნალი „ერალაში". 12.50 — კონცერტი „აბა, დელია"! (გამეორება). 14.05 — საკვირაო გამოფენა. 14.10 — ხალხური შემოქმედება — „ახალ წელს გილოცავს საქართველო, მომავალი შენი". 14.45 — „ვესტნიკი". 15.30 — მამული, ენა, სარწმუნოება". 15.55 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე". 16.05 — საკვირაო გამოფენა. 16.10 — „მრავალჟამიერ"! 17.15 — ჩვენი პრემიერა — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიმღერის დაბრუნება". 17.55 — სატელევიზიო პროგრამა „ჯანმრთელობა". 18.35 — „თბილისი და თბილისელები" (საახალწლო გამოშვების გამეორება). 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — კონცერტი. 21.00 — „ვრემია". 21.45 — სილამაზის კონკურსი „საქართველოს დედოფალი-90". 22.35 — „პუნქტუმ კონტრა პუნქტუმ".

მეორე პროგრამა. 21.00-24.00 — საქართველოს კომერციული ტელევიზიის პროგრამა (საცდელი გადაცემები).

მთავარი რედაქტორი მამუკა ჭაჭუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, ი. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კომბინატში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 66434.

საქართველოს რესპუბლიკა